საჯარიოველოს ეკლესია

645/
2004/2



2004 №3-4

ჟურნალი ქალებისა და ოჯახისათვის

მთავარი რედაქტორი
ლია კაკაბაძე

სარედაქციო კოლეგია:
- მარიკა ბარათაშვილი
- ნაზი თარგამაძე
- ცინარა ტერელაძე (მხატვარი რედაქტორი)
- ირმა ჩოფიკაშვილი
- ნინო ჯავახიშვილი
- მარინე ნაკაიძე

ნანული გუჯია
ტექნიკური რედაქტორი

დამფუძნებლები – ჟურნალ „საქართველოს ქალის“ ჟურნალისტები

რეგისტრაციის №06/4 897

გარეკანის ჰირველ გვერდზე – მხატვარ ლაშა ფენგელიას ტიხრული მინანქარი

„Sakartvelos Kali“
Georgian Woman. A Magazine for Women

ჟურნალი გამოდის 1923 წლიდან

ეროვნული გმირი

საქართველოსთვის წამებული ჟიული შარტავას 7 მარტს 60 წელი შეუსრულდებოდა. მტარვალის ხელით რომ არ დაცემულიყო, კიდევ რამდენ კეთილ საქმეს გაუკეთებდა სამშობლოს. მისმა მოწამებრივმა სიკვდილმა შესძრა ყოველი ქართველის გული. მათ შორის მისი მეგობრის, მწერალ გურამ თანჯიკიძისაც.

ძვირფასო მეგობრებო!

ვერასოდეს წარმოვიდგენდი, თუ ასეთი სიტყვის თქმა მომიწევდა. ისე გვჯეროდა ჟიულის ენერგიის, კაცობის, ბიჭობის, აზროვნების, რომ პირიქით, იგი გვეგულებოდა იმედად და ფარად. მოხდა ისე, რომ 27-ში, დაახლოებით 11 საათზე, ბატონმა ჟიულიმ როცა გადაწყვიტა წასულიყო მინისტრთა საბჭოს შენობაში, მე ვთხოვე: ბატონო ჟიული! ნუ მიდიხარ, იქ შეიძლება შეხვიდე, მაგრამ ვეღარ გამოხვიდე იქიდან. უკვე ვიცოდი, წითელი ხიდიდან მოვდიოდი, რა სიტუაცია იყო იქ. მაგრამ მან გაიცინა, როგორც იცოდა ენერგიულად, ვაჟკაცურად და წავიდა. ჩემს მეხსიერებაში, სანამ მე ცოცხალი ვიქნები, არასოდეს დამავიწყდება ის ვაჟკაცური ღიმილი. რომლითაც იგი წავიდა სასიკვდილოდ.

წავიდა სასიკვდილოდ, მაგრამ თავისი სიკვდილით მან ისეთი დიდი საქმე გააკეთა, რომელსაც შეიძლება ათიათასობით ადამიანი ვერ გააკეთებს. მან შეძრა მსოფლიო, შეძრა ქვეყანა, აჩვენა, თუ როგორი ვაჟკაცები ყოფილან ქართველები, დაანახა ყველას – მტერსაც და მოყვარესაც, თუ როგორ კვდებიან ჭეშმარიტი ქართველები. სანამ საქართველოს ეყოლება ისეთი შვილები, როგორიც ჟიული შარტავა იყო, საქართველოს გადაშენება არ უწერია.

გურამ ფანჯიკიძე

„ქალები, რაც შეიძლება მეტი ქალი!“

● სალომე ზურაბიშვილი-კაშია

ასე გაისმა პრეზიდენტისგან სახალხოდ, მთელი საქართველოს გასაგონად, რომ აპირებდა ახალი მთავრობის დაკომპლექტებას ქალბატონებით. საიდან მოდიოდა ის ღრმა რწმენა, რომ ისინი ქვეყანას გამოადგებიან, გაამართლებენ ათასობით შემწეობასმოლოდინე ქართველის იმედს – იცხოვრონ ადამიანურად, ათასობით დაჩაგრული და ყველა სიკეთეს დანატრებული ბავშვის ოცნებას, – ახდენოდეთ ზღაპარი, რაც უფროსებისგან მოყოლილი თუ წაკითხვით მოუსმენიათ – ჰქონდეთ ფეხსაცმელი, წიგნი, ტკბილეული.

პრეზიდენტის მოთხოვნა გასაგები და ადამიანური იყო. ქალი – დედობის საწყისი, სამყაროს გადამრჩენი და გამნათლებელი, ქალი ბუნებით ამტანი და ღმერთისგან დამოძღვრილი – გაგრძელოს ადამის მოდგმა.

საიდან მოდიოდა ღრმა რწმენა, რომ ისინი ქვეყანას გამოადგებიან?

ალბათ, საქართველოს ისტორიიდან. გვყავდნენ მეფე – ქალი, დიპლომატი ქალები, მებრძოლი ქალები, მებრძოლთა გამზრდელი ქალები.

იქნებ იქიდანაც, რომ ქალი უფრო ფრთხილია, უფრო შორსმჭვრეტელი, პასუხისმგებელი, მომტევებელი, ცდუნებისგან დაზღვეული, სანდო, დასაყრდენი.

ტყუილად არ ყოფილა ჩვენს ისტორიულ წინახანაში მატრიარქატი!

სანთლით მოიძია, რომ იტყვიან, პრეზიდენტმა ისეთი ქალები, დღეს საქართველოს რომ სჭირდება – ახალგაზრდები, უცხოეთში სწავლამიღებულები, გამოცდილები, კარგი დედები და მეუღლეები.

თუ ერთი-ორმა უარი თქვა მთავრობის წევრობაზე, ეს პატონმა მიშამ ნაკლებპატრიოტობაში ჩაუთვალა და უფრო პატრიოტები აირჩია.

საიდან გამოყვა ეს ნდობა პრეზიდენტს?

ოჯახიდან, დედის და ბებიის მოღვაწეობიდან, ცხრუკვეთიდან – მშრომელ ხალხთან ურთიერთობიდან, სკოლის მასწავლებლებიდან, მეგობრებიდან, მეუღლისგან – რომლის გულმოდგინება, მიზანდასახულობა, კეთილშობილება კარგადაა ცნობილი.

ალბათ, ამიტომაცაა, რომ ახალი მთავრობა ქალთა სახეებმა დაამშვენა.

თამარ ბერუჩაშვილი – ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, იუნესკოს საერთაშორისო მენეჯმენტის ცენტრში ცოდნამიღებული, ქიმიკოსი, ფრანგული ენის თარჯიმანი, რამდენიმე უცხო ენის მცოდნე. ქალბატონი თამარი – საქართველოში ბევრ პასუხსაგებ თანამდებობაზე თავისი მაღალეფექტური შრომით გამორჩეული, რომელმაც აშშ-ის ინდიანას უნივერსიტეტში მიიღო სახელმწიფოს მმართველობის დარგში მაგისტრის წოდება, ხოლო ვაშინგტონის სტრატეგიული საერთაშორისო კვლევის ცენტრში კიდევ უფრო გაიმდიდრა ცოდნა – საქართველოში სახელმწიფო მინისტრად იმუშავებს.

ქალბატონ თამარს ღირსეული სამეული შემოეტატა და შეექმნა პატიოსანი, ენერგიული, უცხოეთში სწავლამიღებული ძლიერი გუნდი გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის თამარ ლებანიძის, ინფრასტრუქტურისა და განვითარების მინისტრის თამარ სულუხიას, ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის ეთერ ასტემიროვას შემადგენლობით.

თამარ სულუხია 2001 წლიდან გახლავთ ურბანული განვითარებისათვის ქალთა ასოციაციის პრეზიდენტი, სხვადასხვა დროს გაიარა სტაჟირება ჰარვარდის, კოლორადოს უნივერსიტეტებში, გერმანიაში – რედეს კოლეჯში, ფლობს უცხო ენებს.

ეთერ ასტემიროვა – ინჟინერ-ჰიდროლოგი, ლენინგრადში სწავლამიღებული, ნამუშევარი ჩეჩნეთში, კალუგაში, კარელიაში, აფხაზეთში თავისი სპეციალობით, 1993 წლიდან ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი.

და აი, სულ ახალი, ექსტრემალური გადაწყვეტილება. საფრანგეთში ვიზიტად მყოფმა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა საფრანგეთის პრეზიდენტს ჟაკ შირაკს სთხოვა საქართველოსთვის „დაეთმო“ შთამომავლობით ქართველი ქალბატონი, თბილისში საფრანგეთის ელჩად წარმოგზავნილი, მსოფლიო სახელის მქონე დიპლომატი სალომე ზურაბიშვილი-კაშია, რათა მისთვის საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პორტფელი ჩაებარებინა.

და ჟაკ შირაკმა ჩვენი პრეზიდენტის თხოვნა დააკმაყოფილა.

მინისტრად დანიშვნის შემდეგ ქალბატონმა სალომემ განაცხადა, რომ ეს დღე უბედნიერესია მის ცხოვრებაში, რაზე ოცნებასაც ვერ გაბედავდა, დიდი იმედი აქვს, რომ შეიტანს მოკრძალებულ წვლილს საქართველოს ნამდვილ ევროპულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებაში.

ნამდვილად ღირსეული მინისტრი გვყავს!

იგი დაიბადა 1952 წელს. დაამთავრა პარიზის პოლიტიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტი. 1980-90 წლებში მუშაობდა პარიზის საგარეო საქმეთა სამინისტროს ანალიზისა და პროგნოზის ცენტრში. შემდეგ დიპლომატიური მისიით იმყოფებოდა ვაშინგტონში, ვენაში, ნიუიორკში, ბრიუსელში.

საქართველოს პარლამენტის

1998-2001 წლებში საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს სტრატეგიის საკითხთა განყოფილების ხელმძღვანელი იყო. 2001 წლიდან თბილისში გადმოსვლამდე მუშაობდა პარიზის ეროვნული თავდაცვის ცენტრალური სამდივნოს საერთაშორისო და სტრატეგიულ საკითხთა განყოფილების ხელმძღვანელად.

საფრანგეთში დაბადებულ და გაზრდილ სალომე ზურაბიშვილს, ბრწყინვალე განათლებამიღებულს, გამოცდილს, მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში მოპოვებული დიდი ავტორიტეტით შეუძლია ფასდაუდებელი სამსახური გაუწიოს საქართველოს საერთაშორისო არენაზე.

აღსანიშნავია, რომ ქალბატონ სალომეს დამთავრებული აქვს პარიზის პოლიტიკურ მეცნიერებათა პრაქტიკული ინსტიტუტი, სადაც პარიზში ყოფნის დროს სიტყვით გამოვიდა საქართველოს პრეზიდენტი. აღსანიშნავია, რომ ქალბატონმა სალომემ დაამთავრა ნიუ-იორკის კოლუმბიის უნივერსიტეტი, სადაც სწავლობდა საქართველოს პრეზიდენტი.

ქალბატონი სალომე სულით ხორცამდე ქართველია. მისი წინაპრები საქართველოს სახელოვანი შვილები იყვნენ. იგი გახლავთ დიდი ქართველის ნიკო ნიკოლაძის შვილთაშვილი და დამოუკიდებელი მთავრობის სენატორის, გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწისა და ილია ჭავჭავაძის თანამებრძოლის ივანე ზურაბიშვილის შვილიშვილი. გარდა ამისა, გახლავთ ბიძაშვილი საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის – ელენ კარერ-დანგოსისა, რომელიც, აგრეთვე, წარმოშობით ქართველია და ითვლება უდიდეს ფრანგ ისტორიკოსად და რუსეთის საუკეთესო მცოდნედ ევროპაში.

მისასალმებელია, რომ ქალბატონ სალომე ზურაბიშვილის დანიშვნა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრად მკვეთრად დააჩქარებს ჩვენი ქვეყნის ევროპული ინტეგრაციის პროცესს, დაგვეხმარება რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგებაში, ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორებთან არსებული თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავებაში.

ქალბატონ სალომეს ქართული სულის ოჯახი ჰყავს. მის მეუღლეს, ბატონ ჯანრი კაშიას ჩვენი საზოგადოება კარგად იცნობს საქართველოს ტელევიზიის ახალი საავტორო ტელეგადაცემიდან. ბატონი ჯანრი მეუღლის დაწინაურებას მნიშვნელოვან ნაბიჯად მიიჩნევს საფრანგეთ-საქართველოს შორის ახალი ურთიერთობების დაწყების თვალსაზრისითაც. ქალბატონ სალომეს დედა „ვარდების რევოლუციის“ დროს თბილისში იმყოფებოდა და დემონსტრანტებს უჭერდა მხარს. რაც შეეხებათ შვილებს, მათ საქართველო არასოდეს უნახავთ, მაგრამ მშვენივრად საუბრობენ ქართულად. თავად დედა შესანიშნავად ფლობს ქართულ, ფრანგულ, ინგლისურ, იტალიურ ენებს, უყვარს საქართველო და მარტის თვეში დაბადებული, თუ შარშან მეუღლესთან ერთად ჩამოვიდა თბილისში და აქ აღნიშნა თავისი დაბადების დღე, წელს ერთად მოუწია დაბადების დღისა და მინისტრობის აღნიშვნა.

ვულოცავთ!

ლია კაკაბაძე

ცნობილი „გაუნათლებლები“

ამბობენ, ვინც ცუდად სწავლობს, ცხოვრებაში ვერაფერს აღწევსო. არადა, ამის საწინააღმდეგო ბევრი მაგალითი არსებობს:

ჯორჯ ვაშინგტონი (1732-1799) – პოლიტიკოსი. არცერთ სასწავლებელში არ უვლია.

ფრიდრიხ ჰეგელი (1777-1831) – ფილოსოფოსი. ჰეიდელბერგის უნივერსიტეტის დამთავრების დიპლომში ეწერა: „ფილოსოფიის შესწავლაში არავითარი წარმატება არ ჰქონია“. შემდგომში, როცა ჰეგელი ჰეიდელბერგში ფილოსოფიის დოქტორი გახდა დიპლომში სიტყვა „არავითარი“ “დიდით“ შეუცვალეს.

თომას ედისონი (1847-1931) – გამომგონებელი. მშობლები იძულებული შეიქნენ დაწყებითი კლასიდან სამი კვირის შემდეგ გამოეყვანათ. შვიდი წლის თომასი მასწავლებლებს იმდენ შეკითხვებს აძლევდა, რომ გონებრივად ჩამორჩენილი ეგონათ. მას შემდეგ სასწავლებელში აღარ უვლია. მიკროფონის, ფონოგრამის, მიმეოგრაფის, ელექტრონათურის გამომგონებელი გახდა. ცხოვრების მანძილზე 1000 გამოგონების პატენტი დააგროვა.

ჯონ როკფელერი (1839-1937) – თექვსმეტი წლისამ კოლეჯში სწავლას თავი დაანება. გამდიდრდა სამოქალაქო ომის წლებში (1861-1866) ორივე მეომარი მხარისათვის სურსათის მიყიდვით.

უინსტონ ჩერჩილი (1874-1965) – პოლიტიკოსი. საშუალო სკოლიდან დაითხოვეს სწავლაში ჩამორჩენილობისათვის. მასწავლებლებმა მეცნიერებისათვის „აბსოლუტურ უნიჭოდ“ ჩათვალეს.

ადოლფ ჰიტლერი (1889-1945) – პოლიტიკოსი. ერთადერთხელ სცადა უმაღლესი განათლების მიღება ვენის სამხატვრო აკადემიაში. 1938 წელს, ავსტრიის აღების შემდეგ ბრძანა დაეხვრიტათ აკადემიის ის პროფესორი, რომელმაც გამოცდაზე ჩაჭრა.

„ვლასტი“



მწუხრისფერ იდუმალებაში განივთებული...

„ღმერთო დიდებულო, უფალო და მაცხოვარო ჩვენო წმინდაო სამებაო, მოვედინ სუფევაი შენი“ – საგალობლის ეს სიტყვები მხურვალე ლოცვად აღბეჭდილა მწუხრისფერი იდუმალებით მოსილ ოქროს მინანქროვანი მედალიონის სისადავეში, რასაც საგალობლის ზეაწეული სიმშვიდისა და მინანქრის ფერთა გასაოცარი სიღრმის თანხვედრა აკეთილშობილებს.

ამ ზეციური მადლით დამთბარი ხელოვნების ნიმუშის ავტორი ფერმწერი ლაშა შენგელიაა. მან 1992 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია. ახალგაზრდა ნიჭიერი მხატვრის სხვადასხვა თემაზე შექმნილი კომპოზიციები, პორტრეტები, ნატურმორტები, პეიზაჟები ფერთა ჟღერადობითა და შესრულების ოსტატობით იმთავითვე იპყრობდა მნახველის ყურადღებას. იგი იმ შემოქმედთა რიცხვს მიეკუთვნება, ვინც ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენებულ თვითმყოფად ხელოვნებაში ტრადიციული ფორმების შენარჩუნებასა და დახვეწასთან ერთად ინდივიდუალური ხასიათის თავისებურებებსაც წარმოაჩენს. ინდივიდუალიზმი იგრძნობა მის მიერ უძველესი ტექნიკით შესრულებულ ტიხრული მინანქრის ნიმუშებშიც; ხატწერულ სახეებსა თუ დეკორატიულ კომპოზიციებში, რასაც განსაკუთრებულ მხატვრულ ღირებულებას ანიჭებს კოლორიტის ჰარმონიულობისა და ოქრომქანდაკებლური ოსტატობის მაღალპროფესიული სინთეზი.

ლაშა შენგელია თანამედროვე გამომსახველობითი ხერხების მუდმივ ძიებაშია. მისი მინანქროვანი ხატები, მედალიონები, რელიეფურ თემაზე შექმნილი კომპოზიციები: „მაცხოვარი“, „ღვთისმშობელი ერმით“, „მაცედრებელი ღვთისმშობელი“, „ჯვარცმა“, „წმინდა გიორგი“, „წმინდა ნინო“, „თამარ მეფე“ და სხვა ჭეშმარიტად მქადაგებლურ-მისიონერული მუხტისაა და უფლისადმი სიყვარულის გრძნობით აღავსებს დამთვალიერებელს. ნატიფი გემოვნებით სრულქმნილი თითეული ნამუშევარი სულის უფაქიზესი ნაწილია ხელოვანისა, რომელიც როგორც მხატვართა ოჯახური დინასტიის ღირსეული წარმომადგენელი, სათუთად უფრთხილდება უძველეს და უმდიდრეს ტრადიციებს, რამაც მსოფლიოს კულტურულ მონაპოვართა შორის აღმატებული ადგილი დაუმკვიდრა ქართულ ტიხრულ მინანქარს – წინაპართა სულიერი სიდიადის ჭეშმარიტ გამოვლინებას.

ლაშა შენგელიას მაღალმხატვრული ტიხრული მინანქარი მრავალი გამოფენის მონაწილეა, ექსპონირებულია ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში, გალერეებსა და სამხატვრო სალონებში: „ორნამენტი“, „შარდენი“, „დიადემა“, „ვაჩა“, „კოპალა“, „ზარდახშა“, „პარიზის ვარსკვლავი“.

● მინანქრის გამოფენაზე გალერეა „ორნამენტში“. სანდრა რულოვსი და მხატვარი ლაშა შენგელია.

მხატვრის ნამუშევრები დაცულია ამერიკის, გერმანიის, რუსეთის, იტალიის, საბერძნეთის კერძო კოლექციებში.

დიდი მადლია ღვთიური საჩუქარი სავსე მინანქროვან სამყაროსთან ზიარება, მინანქარი ხომ ქართული სულის სიდიადეა, მწუხრისფერ იდუმალებაში განივთებული...

ბადრი სულაძე

ქუთაისი – ნიუპორტი

14 წლის წინ, 1989 წელს ოფიციალურად გაფორმდა ხელშეკრულება ორი ქალაქის – ქუთაისისა და ნიუპორტის დამეგობრების შესახებ. მაშინ ამას ბევრმა ეჭვის თვალით შეხედა, მაგრამ დრომ საპირისპირო დაადასტურა – ქუთაისმა და ნიუპორტმა „გაამართლეს დარღვეულ დროთა კავშირი და დაიწყო ცივილიზაციის საათვეებთან მდგომი ორი ქვეყნის ურთიერთობა.“ დღეს უკვე აღიარებულია, რომ ასეთი ურთიერთობა მსოფლიოში არც ერთ ორ ქალაქს შორის არ დამყარებულა და იგი სამართლიანად იქნა აღიარებული დამმობილებულ ქალაქთა შორის მეგობრობის საერთაშორისო მოდელად.

ნიუპორტთან დამეგობრებამ ახალი პერსპექტივები გადაშალა ჩვენი ქალაქის წინაშე. ყველაზე დიდი მონაპოვარი მაინც ის არის, რომ შორეული ბრიტანეთის მიწაზე მცხოვრებთ დავანახეთ ქართველი კაცის შინაგანი ბუნება, უბრალოება და თავისუფლებისაკენ სწრაფვა. მათ იგრძნეს, რა მტკიცედ გვაქვს ფესვები გადგმული ჩვენს წარსულში და რა დიდია ჩვენში მომავლის რწმენა.

ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ დამმობილებულ ქალაქებს შორის მრავალი დელეგაცია გაიცვალა – ქალაქის მმართველობების, მეცნიერების, მუსიკოსების, მხატვრების, არქიტექტორების, ინგლისური ენის სპეციალისტების, ქალთა ორგანიზაციების, რელიგიის წარმომადგენლების, ექიმების, მოსწავლეების, სტუდენტებისა და სხვ.

ერთმანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული, კულტურული თუ სამრეწველო ტრადიციების გაცნობამ, საინტერესო ღონისძიებებმა საფუძველი ჩაუყარეს სამომავლო საქმეს - ასოციაციათა დაფუძნებას. ასოციაციათა თავმჯდომარეებად აირჩიეს ნიუპორტის მერი ქალბატონი როზმარი ბატლერი და ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ენის კათედრის გამგე პროფესორი მადონა მეგრელიშვილი. სწორედ მათი ძალისხმევის შედეგია, რომ ჩვენს ქვეყანაში არსებული უმძიმესი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის მიუხედავად ასეთი საქმიანი გახდა ეს ურთიერთობა.

ქუთაისელმა მხატვრებმა პირველად შეძლეს თავიანთი ნამუშევრები საზღვარგარეთის საგამოფენო გალერეებში გაეგზავნათ, ქუთაისშიც მოეწყო ინგლისელ მხატვართა გამოფენა.

ქუთაისელ ახალგაზრდა პიანისტებს პირველად მიეცათ საშუალება მონაწილეობა მიეღოთ უაღრესად პრესტიჟულ ახალგაზრდა პიანისტთა ნიუპორტის საერთაშორისო V, VI და VII კონკურსებში, საიდანაც გამარჯვებულის დიპლომები ჩამოიტანეს. ასოციაციამ კონკურსში ორჯერ გამარჯვებულ ფატი ჯინჯიხაძეს საშემსრულებლო ხელოვნების კიდევ უფრო მაღალი დონის მისაღწევად სტიპენდია დაუნიშნა.

ქალაქებს შორის ურთიერთობა ეკონომიკურ სფეროსაც შეეხო. ნიუპორტმა სამხრეთ-დასავლეთ უელსის საზოგადოებრივ და კერძო ორგანიზაციებთან ერთად მოამზადა ტექნიკური დახმარების პროგრამა მცირე ბიზნესის სფეროში და ქუთაისში გაიხსნა მცირე ბიზნესის ხელშემწყობი ცენტრი თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზით (სამი მილიონი დოლარის ღირებულების), რომლის საშუალებითაც დიდ ბრიტანეთში სტაჟირებაზე გაიგზავნა ქუთაისის საწარმოთა 19 ხელმძღვანელი: უელსის უნივერსიტეტის ნიუპორტის კოლეჯმა ქუთაისის პოლიტექნიკური უნივერსიტეტისათვის მომზადა ენერგიის მართვისა და განვითარების პროგრამა, რომელშიც დიდბრიტანელი მეცნიერები იყვნენ ჩართული.

● **პროფ. მადონა მეგრელიშვილი და როზმარი ბატლერი AM მისი უდიდებულესობა ბრიტანეთის დედოფლის ელისაბედ II ოქროს იუბილეზე.**

სხვადასხვა დროს სასწავლო ვიზიტებით ნიუპორტში იმყოფებოდნენ სპორტსმენთა, ტრანსპორტისა და პოლიციის მუშაკთა, ტურიზმისა და სამუზეუმო საქმის სპეციალისტთა ჯგუფები; პარალელურად ქუთაისს ეწვივნენ ნიუპორტის უნივერსიტეტის, ჯანმრთელობის, ტრანსპორტისა და ტურიზმის ხელმძღვანელი მუშაკები, მუზეუმის საერთაშორისო ექსპერტები, მწერლები და ჟურნალისტები.

1996 წელს ხელი მოეწერა ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობისა და ნიუპორტის უნივერსიტეტებს შორის ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებას, რომლის თანახმად ქუთაისელ ნიჭიერ ახალგაზრდებს საშუალება მიეცათ სწავლა გაგრძელონ და მაგისტრის ხარისხი დაიცვან ნიუპორტის უნივერსიტეტში სწავლის ქირის გარეშე.

განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია უელსის უნივერსიტეტის ნიუპორტის კოლეჯის მიერ მომზადებული TEMPUS-ის პროგრამა (1998-2000 წწ). ამ პროგრამაში მონაწილეობით ქუთაისის უნივერსიტეტმა 300 ათასი დოლარი მოიპოვა გრანტის სახით. სწორედ ამ პროგრამის განხორციელების საფუძველზე ქსუ-ს ინგლისური ენის კათედრაზე დაინერგა სწავლების მოდულური სისტემა, რომელმაც კიდევ უფრო წარმატებული გახადა კათედრის საქმიანობა; დაარსდა კურსდამთავრებულთა საქველმოქმედო ასოციაცია ALUMNI, რომელმაც კათედრას უახლესი დიზაინის საოფისე აპარატი და თანამედროვე აპარატურა შეუძინა, სწავლის ქირისაგან განთავისუფლდა რამდენიმე წარჩინებული სტუდენტი.

ასოციაციის ცხოვრებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო 2000 წლის აპრილი (17-30), როცა ქუთაისში დიდი ზეიმით აღინიშნა ქუთაისისა და ნიუპორტის დამეგობრების ათი წლისთავი და მესამე ათასწლეულის დადგომა. ამ დღეებში ქალაქმა უმასპინძლა ნიუპორტელთა თორმეტწევრიან დელე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვლავ ჰუტინი

მოსახლეობის 72 პროცენტმა რუსეთის მომავალი კვლავ ვლადიმერ პუტინს ანდო და პრეზიდენტად მეორედ აირჩია. მასთან ერთად არჩევნებში სხვებიც მონაწილეობდნენ, მაგრამ ქალი მხოლოდ ერთი – ირინა ხაკამადა გახლდათ.

მისთვის მთავარი იყო საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა, რომ მისი ხმა გაეგონათ, სწორედ ამ პრინციპით წარადგინა საკუთარი კანდიდატურა წლევანდელ საპრეზიდენტო არჩევნებში უპარტიო სიით დემოკრატიული რუსეთის პოლიტიკოსმა ქალბატონმა ირინა ხაკამადამ. ამ ნაბიჯით მან თანაპარტიელებში მხარდაჭერა ვერ მოიპოვა. მემარჯვენე ძალთა კავშირმა, რომელსაც ირინა ხაკამადა 4 წელი თანათავმჯდომარეობდა, პოლიტიკოს ქალბატონს გადაწყვეტილება დაუწუნა. მისი განზრახვა ვერც თანამებრძოლთა მეორე პარტიაში „იაბლოკოში" გაიზიარეს. მისი წინასაარჩევნო კამპანია საინიციატივო კომიტეტმა წარმართა, სადაც სხვა ფინანსურ შემოდინებებთან ერთად სს „იუკოსის" ფულია ჩადებული. როგორც ამბობენ, ეს წლევანდელ საპრეზიდენტო არჩევნებზე ყველაზე ძვირადღირებული კამპანია იყო, რომლის გასაშლელად 48 მლნ. რუბლი დახარჯა. ცოცხალი მზერით, სწრაფი რეაქციით, თითებზე ახლადწასმული ლაქით, სწორად შერჩეული ბლუზაში გამოწყობილი პოლიტიკოსი ქალბატონი რთული წინასაარჩევნო მარათონის მონაწილეს არ მოგაგონებდათ. როგორც თავად ამბობდა, მისთვის მთავარი იყო არჩევნებში მონაწილეობა, წარმატება კი ის იყო, რომ 2 მლნ. მხარდამჭერი ჰყავდა. ამდენივე ხელმოწერა წარადგინა მან საარჩევნო კომისიაში კანონით გათვალისწინებულ ბოლო დღეს, 28 იანვარს თავისი საბუთების შეტანისას საპრეზიდენტო არჩევნებში კანდიდატად დაფიქსირების მიზნით, რითაც საშუალება მეეცა პუტინის ალტერნატიული პროგრამა გაეცნო ფართო საზოგადოებისათვის. როგორც აღნიშნავს, ამით იგი რუსეთში ლიბერალურ ფასეულობებს იცავდა. სტატისტიკური მონაცემებით დადასტურებულია, რომ რუსეთის მოსახლეობის სუსტი სქესის 18-35 წლის ასაკის ამომრჩეველი, ირინა ხაკამადას უჭერდა მხარს. მისი მხარდამჭერი მანდილოსნები დაახლოებით ასე მსჯელობდნენ: თუ ირინამ შეძლო კანდიდატურის წამოყენება, მაშინ ჩვენც გამოგვივა სანუკვარი ოცნების აღსრულებაო.

გაცას, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ როგორც ნიუპორტის მერი და მთავარი აღმასრულებელი, ისე ნიუპორტი – ქუთაისის ასოციაციის თავმჯდომარე და მისი აქტიური წევრები. იუბილე ნამდვილ სახალხო დღესასწაულად იქცა. მთელი ქალაქი ჩაერთო ამ დიდ ზეიმში – ქუთაისის ცენტრში გაიხსნა ნიუპორტის ქუჩა; ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გაიმართა ათასწლეულთან შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობდნენ თბილისისა და ქუთაისის ოპერის ცნობილი მომღერლები და მუსიკოსები; ინგლისურ ენაზე ოპერის თეატრში გაიმართა შექსპირისადმი მიძღვნილი საღამო; იუბილეშ მართლაც რომ საინტერესო ხასიათი მიიღო. გამოიცა სპეციალური ბუკლეტი და მოკლე პროსპექტი, რომელსაც ინტერესით ეცნობოდნენ მსურველები. ამ დღეებს მიეძღვნა თოთხმეტგვერდიანი საქალაქო გაზეთის „იახალი ქუთაისის," მთელი ნომერი, რომელიც ასოციაციის მიერ იქნა გამოშვებული.

ასოციაციის მუშაობა სისტემატურად შუქდება როგორც ბრიტანელების დაარსებულ ჟურნალში „არიელი," ისე ქუთაისი-ნიუპორტის საერთაშორისო ასოციაციის ინიციატივით დაფუძნებულ ჟურნალში „კოლხთა ქვეყანა." ჟურნალები მაღალ პოლიგრაფიულ დონეზეა გამოცემული და უმაღლეს შეფასებას იმსახურებს როგორც ქართველი, ისე ბრიტანელი მკითხველისაგან. ქუთაისისა და ნიუპორტის მეგობრობა იმდენად ჰოპულარული და გახმაურებულია, რომ ლონდონში გამართულ საქართველოს დღეებზე ტრადიციულად ორივე ქალაქის ასოციაციათა წარმომადგენლებს იწვევენ.

2002 წლის 7-17 ივნისს გაიმართა მისი უდიდებულესობა ბრიტანეთის დედოფლის ელიზაბეტ II ოქროს იუბილესადმი მიძღვნილი ზეიმი, როდესაც ნიუპორტს ოფიციალურად მიენიჭა სამეფო ქალაქის სტატუსი. ზეიმში მონაწილეობის მისაღებად მიწვეული იყო დელეგაცია ქუთაისიდან, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ ქალაქის მერი და ქუთაისი-ნიუპორტის საერთაშორისო ასოციაციის თავმჯდომარე. დელეგაციამ აქტიური მონაწილეობა მიიღო ზეიმში და ღირსეულად წარსდგა ნიუპორტელთა წინაშე. ისინი დაუვწყარი შთაბეჭდილებებით დაბრუნდნენ და ჩამოიტანეს ფასდაუდებელი ფოტომასალა.

ქუთაისისა და ნიუპორტის მეგობრობა იმდენად გასცდა საქართველოსა და ბრიტანეთის ფარგლებს, რომ BBC-ზე ჟურნალისტ დავით სვეილის მიერ, რომელიც ქუთაისს ესტუმრა, გადაიცა სპეციალური რეპორტაჟი ქუთაისსა და ქუთაისელებზე, მათ გასაოცარ მეგობრობაზე ნიუპორტელებთან.

მეგობრობა მტკიცდება. ნიუპორტი კვლავ აგრძელებს ქუთაისისათვის დახმარებას. 2003 წლის 25 დეკემბერს საახალწლოდ გუნებრივ ჯანდაცვის ცენტრისაგან ქუთაისი-ნიუპორტის საერთაშორისო ასოციაციამ ქალაქის ერთ-ერთი საავადმყოფოსათვის საჩუქრად მიიღო სარეანიმაციო კაბინეტის მთლიანი მოწყობილობა. ასოციაციამ იგი საზეიმო ვითარებაში გადასცა ქალაქის პირველ საავადმყოფოს, რომელიც 1890 წელსაა დაარსებული. აღნიშნული აპარატურა ფასდაუდებელი საჩუქარია ქუთაისელი ექიმებისთვის, რომელთაც ფაქტიურად შიშველი ხელით უწევდათ ავადმყოფებისათვის დახმარება.

ნიუპორტი თითქმის ყველა ქუთაისელისთვის მშობლიური ქალაქი გახდა. ამ ურთიერთობის წყალობით სამასამდე ქუთაისელი ესტუმრა ნიუპორტს და ამდენივეს უმასპინძლა ქუთაისმა, თითქმის სამოცდაათამდე ოჯახი დამეგობრდა და დანათესავდა.

ასოციაციის მუშაობას ფართოდ აშუქებენ როგორც ადგილობრივი, ისე ქვეყნის ტელეკომპანიები და გაზეთები. ეს ურთიერთობა ორმხრივია. იგი სახალხო დიპლომატიის დონეზე მიმდინარეობს. მასში მოქალაქეთა ინტერესებია ჩაქსოვილი, ამიტომ საჯიროების მუდმივ მხარდაჭერასა და მზრუნველობას – როგორც ორი ქვეყნის ადამიანთა მეგობრობის საუკეთესო ნიმუში. ეს ურთიერთობა როგორც სულიერ, ისე მატერიალურ საყრდენებზეა შემდგარი და ბუნებრივ ადამიანური სითბო, სათნოება და ურთიერთგაგება უდევს. პატივისცემისა და ქების ღირსი არიან ორივე ქალაქის ასოციაციათა წევრები, რომლებიც სათუთად უფრთხილდებიან მეგობრობას და ცხოვრებას ულამაზებენ ერთმანეთს.

მაია ალავიძე

● მარინა კახიანი

ზალეტი...

მომხიბლავი, ნიჭიერი, კინოსა და თეატრში ბევრი როლის წარმატებით შემსრულებელი, ცნობილი კინორეჟისორის გია მატარაძის მეუღლე მარინა კახიანი ამაყობს, რომ წარმოშობით სვანია. მისი თავადური გვარის წინაპრები სვანეთიდან უსიამოვნებას გამოქცევიან და იმერეთში დასახლებულან.

მამა – გიორგი კახიანი – დირიჟორი და კომპოზიტორი, პირველი თურქმენული ოპერის ავტორი, ტაჯიკეთის სიმფონიური ორკესტრის დამაარსებელი, ლენინგრადის საოპერო ხელოვნების მოღვაწე, თბილისის ოპერისა და ბალეტის და მოსკოვიდის თეატრების დირიჟორიც გახლდათ.

დედა – კონსერვატორიადამთავრებული ალექსანდრა ყუფეონია, მიუხედავად კარგი ვოკალური მონაცემებისა, ოჯახს შეეწირა.

ჰყავს ერთადერთი ვაჟი, ოერისტი ვათა მატარაძე.

– ქ-ნო მარინა, ცოტა რამ მიამბეთ ნაადრევად წასულ მეუღლეზე, უნიჭიერეს რეჟისორ გია მატარაძეზე, როგორი პიროვნება, შემოქმედი და პარტნიორი იყო, სად გაიცანით?

– რომ არა თეატრალური ინსტიტუტი, ვერ შეეხვდებოდი. გია ჩემზე თვრამეტი წლით უფროსი იყო, რობერტ სტურუას სტუდენტი გახლდით, პირველ კურსზე ვიყავი, ბატონი რობერტი ინგლისში გაემგზავრა სპექტაკლის დასადგმელად. ჩვენი ჯგუფი ლექციების წასაკითხად გიას ჩააბარა. ნანახი მყავდა, კინოსარეჟისორო ფაკულტეტი ჰქონდა დამთავრებული, დავახლოვდით როგორც სტუდენტი და პედაგოგი. იმთავითვე დიდი მითქმა-მოთქმა გაიმართა, ცოლიანი იყო, თუმცა, ვერაფერი დაგვაკლეს, ჩემთვის ძნელი იყო ამის დაძლევა, მძიმე ტვირთი ვიგრძენი, ბოლომდე მაწუხებდა, ძნელად შევეგუე, ბედისწერის მჯერა, გვქონდა ნამდვილი, წმინდა, დიდი სიყვარული. ცამეტი წელი გავატარეთ ერთად, ოცდაცამეტის დავქვრივდი. ჩემი ცხოვრება ვერ წარმომედგინა უმისოდ, იმ ასაკში ცხოვრებისთვის სრულიად შეუმზადებელი ვიყავი. ბედნიერი ვარ, რომ ის არსებობდა. გიასნაირები ცოტანი არიან. ისე ღრმად გაიდგა ფესვები ჩემს ცნობიერებაში, დავიწყება ვერ შეძელი, თუმცა, არც მიცდია. წლების მანძილზე გავურბოდი მასზე ლაპარაკს, მისი სახელის ხსენებაც უზარმაზარ ტკივილს მანიჭებდა, ახლაც, რამდენიმე ფრაზას ვიტყვი და ჩემდაუნებურად ვწყვეტ. განა ჩემს მიმართ, ყველას მიმართ იყო განსაკუთრებული, ბევრი რამ ვისწავლე მისგან, როგორც მსახიობმა, პიროვნებამ, ქალმა.

– როგორც ვიცი, მეტამორფოზა განიცადეთ, გატაცებული იყავით ბალეტით, იგი დათმეთ და დრამის მსახიობი გახდით.

– ქორეოგრაფიული სასწავლებელი დავამთავრე და კარგ მომავალს მიწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ მოშინდა ხმის ამოღება სცენაზე. ბალერინა ჰეპელას ჰგავს, ხანმოკლეა მისი მოღვაწეობა, რაგინდ პოპულარულიც არ უნდა იყოს, გარკვეულ ასაკში იცვლის პროფესიას, ეკეთოს შემოხვევაში პედაგოგობას ყველაფერი ზუსტად გავიაზრე და ისე ვიმოქმედე. მინდოდა დამემტკიცებინა, რომ კიდევ სხვა რაღაც შემიძლია, თავი გამოვცადე, ამაში უთუოდ დიდი როლი გიამ ითამაშა.

● გია მატარაძე

– როგორ გესმით ადამიანის თავისუფლება?

– ჩვენ თვითონ ვართ ჩვენი თავის მონები. ბერნანდას აქვს ასეთი ფრაზა – „ჩვენ ყოველთვის არ ვაკეთებთ იმას, რაც გვინდა, არამედ – რაც საჭიროა“. ეს არ ნიშნავს, რომ ცხო-

მაგრამ მაინც თეატრი

ვრების კანონებს ბრძად დავეექვემდებაროთ. ჩვენ თვითონ არ ვაძლევთ საკუთარ თავს თავისუფლების უფლებას, მკაცრები ვართ, ვიმძიმებთ ცხოვრებას, ვიტანჯებით...

– ბუნებით მეოცნებე ხართ, რაზე ოცნებობთ, გაქვთ თუ არა დაუკმაყოფილებლობის გრძნობა?

– ზედმეტად მეოცნებე ვარ. ოცნება ალამაზებს ქალის ცხოვრებას, უინტერესო იქნებოდა სიცოცხლე უამისოდ, თუმცა, მეოცნებენი რეალობასთან შეჯახებისას იჩაგრებიან, ოცნება ჩემი შეელასა ყველაზე ძმიმე წუთებში.

– ყოველდღიური მოსაწყენი გარემოსთვის, ყოფითი ამბებისთვის თავის არიდების მცდელობა თუ გქონიათ, კარგია იქ, სადაც არა ხართ?

– ადამიანის თვისება თვითგადარჩენაა, ძმიმეა ცხოვრება ისეთ ღატაკ ქვეყანაში, როგორიც ჩვენი დაუცველი ქვეყანაა, თუმცა, სულიერი შიმშილი მდიდარ ქვეყნებშიცაა. ჩვენი ქვეყნის ადამიანებს გამძაფრებული ადამიანური გრძნობები აქვთ, ჩვენი მთავარი მტერი შიშია, რაც გვიმწარებს ცხოვრებას, ქართველები ზედმიწევნით ადაპტირებულები, ამტანები, ყოველგვარი სიდუხჭირის გამძლენი გამოდგნენ.

– რითი ცხოვრობთ, რითი ხართ დაკავებული, თავისუფალი დრო ბევრი გაქვთ?

– საბედნიეროდ, ამჟამად დრო ცოტა მაქვს. ცოდვაა ის ადამიანი, რომელსაც ბევრი დრო აქვს, ეხე იგი, არავის სჭირდება, რაც თრგუნავს, აკომპლექსებს... მიყვარს კითხვა, ძმიმე პერიოდში მშველის წიგნები, კარგი ფილმები, მეგობრები...

– ქ-ნო მარინა, პატარა, ეპიზოდური როლი გაქვთ „მოანიებაში“. რაიმე საინტერესოს ხომ არ გაიხსენებდით გადაღებებიდან რაც არ თქმულა და მიიჩქმალა?

– ქართველი და არა მარტო ქართველი მაყურებლისთვის უძვირფასესია დიდი შემოქმედის ბატონ თენგიზ აბულაძის ყველა ფილმი, გიას პედაგოგი და უახლოესი მეგობარი გახლდათ, მიუხედავად ამისა, მის მიმართ ჩვენი მხრიდან იყო დიდი მოწყება, ასაკობრივი განსხვავებაც. თუმცა, ვერ ვგრძნობდით ყოველივე ამას, ორივენი მის მეგობრებად ვთვლიდით თავს, გვისაუბრია გატაცებებზე, შემოქმედებით ამბებზე, მარილაც საოცარი, გახსნილი ადამიანი და ჩვენი ნამდვილი სულიერი მეგობარი იყო. გიას გამორჩეულად აფასებდა, რაც დაფარული არასოდეს ყოფილა, დიდი პიროვნებების დამახასიათებელი ყველა თვისება ჰქონდა. ვთა ერთი წლის მყავდა, ჯანმრთელობის პრობლემა მქონდა, გიამ და თენგიზმა მოსკოვში წამიყვანეს, პატარა ოპერაცია დამჭირდა, არაფრით არ მიგვატოვა, გვერდიდან არ მოგვცილებია.

– თქვენ ბევრი წარმატებული როლი გაქვთ კინოში და თეატრში, რომელს ანიჭებთ უპირატესობას?

– კინოს და თეატრს აბსოლუტურად განსხვავებული სპეციფიკა აქვს. ჩემი უდიდესი სიყვარული თეატრშია ჩადებული, მიყვარს კინოც, მას ჯადოსნურ სამყაროს დავარქმევ, აქაც თავის მოსინჯვაა. გიყურებს კამერა, გადამღები ჯგუფი, ცდილობ შენი გრძნობები და შესაძლებლობები უშეცდომოდ გამოხატო. ირაკლი კვირიკაძემ მითხრა – კამერამ იცის, ზოგს შეიყვარებს, ზოგს არა, მე ვგრძნობ, თქვენ მას უყვარხართ. ჩემი მთელი ცხოვრება მაინც თეატრია, თეატრის მსახიობი ვარ, თუმცა, გულგრილი არც კინოს მიმართ გახლავართ.

– თქვენი ცხოვრების ყველაზე რთული მომენტი, რამაც გული ისე გატკინათ, რომ ვერ დაივიწყეთ?

– ყველაზე ძმიმეა საყვარელი ადამიანების დაკარგვა, ასეთები იყვნენ ჩემთვის: ბებია, ბაბუა, მამა, გია. ყოველდღიურ ცხოვრებასაც მოაქვს ტკივილები, უხეიროდ ნათქვამი სიტყვები, უსაფუძვლო ჭორი, ვერ ამტკიცებ, რომ ეს არ ჩაგიდენია, მსახიობს უსასრულო განცდა, განუზორციელებელი ოცნებები აქვს.

– ხომ არ გქონიათ შემთხვევა, რეჟისორს ეთქვა, ეს როლი შენთვის შევქმენიო?

– 1991 წელს რუსთაველის თეატრში ვითამაშე ირაკლი სამსონაძის პიესაში „აღდგომა გაუქმებულ ჯასაფლაოზე“ ლიდას როლი, რომელიც ერთ-ერთი უსაყვარლესია ჩემთვის, ჯილდოც დავიმსახურე, – პრიზი წლის საუკეთესო ქალის როლის შესრულებისთვის, რეჟისორები რობერტ სტურუა და გოგა თავაძე არიან. წარმატება მომიტანა თანხვედრამ მსახიობსა და რეჟისორებს შორის, მივუახლოვდი ჩემს სახეს. შემდეგ იყო ირაკლი სამსონაძის პიესაში „იქ, სადაც ღვარად მიედინება“ მარინას როლი, ამაზე კი მითხრა დრამატურგმა, ეს როლი შენთვის შევქმენიო. გამორჩეულად მიყვარს, ჩემეული როლები: მარიამ სტიუარტი, ბერნანდა ალბა, სპორტიცოცა – „ლურჯა ცხენები წითელ ბალახზე“, კიტი – „დაკრძალეა კალიფორნიაში“, ლოლა – „რომაული კომედია“, ევა ბრაუნი – „ასერგასის დღე“, ნატო – „როლი დამწყები მსახიობი ვოგონასათვის“, რებეკა – „კვაჭი კვაჭანტირაძე“, კანცატე – „ქალი გველი“, ნათელა აბაშვილი – „კავკასიური ცარცის წრე“, კლარა – „ნახვის დღე“, სუტკენინა – „კაცია ადამიანი?!“ ვიოლა – „შექსპირის მე-12 ღამე“ და სხვა.

– რომელი ჟანრი უფრო გიყვართ, კომედიური თუ ტრაგიკული?

– ოც წელზე მეტია სცენაზე ვარ. უფრო დრამატული როლები მაქვს განსახიერებული. იყო ტრაგიკომედიურებიც. შარშან სარდაფის თეატრში მიმიწვია ციცინო კობიაშვილმა იტალიელი დრამატურგის დარიო ფოს პიესაში „თავისუფალი სიყვარული“, ვასიკო ოდიშვილთან ერთად კომედიური როლი ვითამაშე, თავი აქაც მოვხინჯე, მთელი სიამოვნებაა, როცა მაყურებელი ხალისობს.

– თითოეული ჩვენთაგანი მარტოობისთვისაა განწირული. დაბადებიდან სიკვდილამდე მარტონი ვართ. სიცოცხლის ბოლო წლები ბევრისთვის ტრაგედიაა. თქვენ მართალია, ამისთვის ძალიან ახალგაზრდა ხართ, მაგრამ გაჩნია ადამიანის ბუნებას, ამაზე ბავშვებიც ფიქრობენ. რას ფიქრობთ სიცოცხლეზე?

– თქვენ ისეთი კითხვა დამისვით, შეიძლება ამაზე ფილოსოფიური ტრაქტატი დაიწეროს. ფაინა რაინევსკაიას სიტყვებია – „სიცოცხლე დედის საშოდან საფლავამდე გაგრძელებული ნატხმია“. მას ჰქონდა ზედმიწევნით საინტერესო ცხოვრება. მთელი ჩვენი ცხოვრება ბრძოლაა, ზოგი მკაცრი მეთოდებით იბრძვის, ზოგი ლოიალურია, ზოგიც ვერ უძლებს წინააღმდეგობებს და უფსკრულში იძირება. მართალია, ამაზე ყველა ბავშვობიდან ფიქრობს, აცნობიერებს სამყაროს, აკვირდება გარშემომყოფთ, იწყებს ფიქრს იმაზე, რა იქნება, რომ აღარ იქნებიან შმობლები, ისადგურებს შიში, მართალია, ქრისტიანები ვართ და უნდა გვწამდეს სულის უკვდავება, მაგრამ მარტოობის შიში ადამიანის თანმდევია. მიყვარს ხალხში ტრიალი, ზოგჯერ მარტოობაც ფუფუნებაა, მარტოობაში ყალიბდება ხასიათი.

– თქვენთვის რომელ რეჟისორთან მუშაობაა სასიამოვნო, არა აქვს მნიშვნელობა – თეატრსა თუ კინოში?

– ჩემი გზის გამკვლევი ბატონი რობერტ სტურუა გახლავთ. ერთი წელი ჩემი პედაგოგი იყო. რუსთაველის თე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ატრში მისი შემწეობით მოვხვდი. მეოთხეკურსელი, შატროვის პიესაში „ლურჯა ცხენები წითელ ბალაზზე“ მთავარ როლში მათამაშა. ეს ჩემი უსაყვარლესი როლია. თეატრის მთელი დასი გულისფანცქალით ველით მის ახალ შედევრებს, გვინდა ჩვენი პატარა წვლილი შევიტანოთ მის სპექტაკლებში, მან ბევრი როლი მაჩუქა, გამოვყოფ კორდილიას „მეფე ლირში“. მან გვაზიარა რუსთაველის თეატრის ტრიუმფალურ სვლებს, მის გვერდით გატარებული ყოველი დღე უდიდესი სკოლაა. ასევე მადლიერი ვარ ავთო ვარსიმაშვილის, გოგა თავაძის, ვოჩა კაპანძის. თეატრის გამო, სამწუხაროდ, თუ საბედნიეროდ, კინოს ბევრ როლზე ვთქვი უარი, თეატრი ჩემი მეორე სახლია. ბედნიერი ვარ, რომ ვთანამშრომლობდი ისეთ კინორეჟისორებთან, როგორებიც არიან: თენგიზ აბულაძე, რეზო ჩხეიძე, ომარ გვასალია, ნანა ჯორჯაძე, როიზმანი, გია მატარაძე. გიამ შვიდი ფილმის გადაღება მოასწრო, გამოვარჩევ „მოკვეთილს“, „შვიდი მოთხრობა პირველ სიყვარულზე“, რომელმაც უამრავი ჯილდო მიიღო, ფილმი რაჭველებზე – „ყველაზე სწრაფები მსოფლიოში“.

„იმედის“ არხმა აჩვენა სცენარისტ ნინო ბასილაას მრავალსერიანი ფილმი „მტვრის გემო“, სადაც მთავარ როლს ვასრულებ, დამდგმელი რეჟისორი დათო ჯანელიძეა. ბედნიერად ვთვლი თავს, რომ ამ ჯგუფში მოვხვდი. ჩემი დუბლიორი შიშველი რომ ვნახე, დათოს ვუსაყვედურე, სხვა ქვეყანაში რომ ვიყო, ნამდვილად გიჩივლებდი, არ გაპატიებდი-მეთქი, რა მექნა, ჩემსა და რეჟისორს შორის არავითარი კონტრაქტი არ გაფორმებულა და დავთმე.

რამდენიმე კინოროლი მინდა აღვნიშნო: მანანა – „უმცროსი და“, ალტისიდორა – „დონ კიხოტი“, ელენე – „ყვითელი ჩიტი“, ქეთი – „გამოცხადება“, გულსუნდა – „მოკვეთილი“, მარინა – „მოდი, ვილაპარაკოთ“, მანანა – „ქართველები ცაში“, სერაფიმა – „მონანიება“, გერონტიუსი – „ათას ერთი სიყვარული“ და მრავალი ტელეფილმი.

– რა ნიშნით ირჩევთ მეგობრებს?

– მეგობრობის რეცეპტი არ გამაჩნია. ჩემი მეგობრები სხვადასხვა პროფესიისა და ასაკის ადამიანები არიან, მეგობრობა როგორც სიყვარული, ამოუცნობი რამაა, როცა ურთიერთინტერესი და პატივისცემა ქრება, სიყვარულიც მთავრდება, ასევეა მეგობრობა, ერთგულების გარეშე არც მეგობრობა არსებობს. ღმერთო, მიმრავლე ჭეშმარიტი მეგობარი, დამიფარე ცრუ მეგობრებისგან!

● ოჯახი

– საინტერესოა თქვენი აზრი ასე მომრავლებულ ტელეფილმებსა და კლიპებზე?

– სერიალი ან კლიპი თუ პროფესიონალური თვალსაზრისით დაბალ დონეზეა შესრულებული, რა თქმა უნდა, მაყურებლის ასეთით დაინტერესება დაბალ გემოვნებაზე მიგვანიშნებს. ტელევიზიის ხელმძღვანელობამ უარი უნდა თქვას მათ შესყიდვაზე. კლიპებზე საინტერესო, ნიჭიერი, გემოვნებიანი რეჟისორები მუშაობენ, კინოს წყურვილს ვაკლავთ ამით, დღეს მსოფლიოში აღიარებული ქართული კინო მიცვალებულ მდგომარეობაშია, ძვირი ფუფუნება გახდა.

– როგორც შემოქმედი, პოლიტიკური კატაკლიზმების მომსწრე, როგორ უყურებთ ამდენი ანგარებიანი ადამიანის მომრავლებას, სხვისი ლუკმის წამრთმევთ, როცა ორგვლივ ამდენი მაწანწალა, მშიერი ადამიანია?

– შემზარავი ფაქტია, თუმცა, ძალადობის მომხრე არა ვარ, ბუნებით ლოიალური პიროვნება გახლავართ. კორუფცია აყვავებულ ქვეყნებშიც არის ფუსვგადგმული, ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, იგი დამღუპველი გახდა. არავინაა იმის მომხრე, რომ არსებული სიტუაცია არ შეიცვალოს და არ აღმოიფხვრას. ამის შედეგია, რომ ჩაკვდა ქართული კულტურა, არ არსებობს კინო, არ ბეჭდება წიგნი, ვერ იდგმება სპექტაკლები, ერი კატასტროფამდე კორუფციამ მიიყვანა, გზა გაუხსნა ქურდობას, ბანდიტიზმს. საბედნიეროდ, მისი აღმოფხვრა დაიწყო.

– თუ საიდუმლო არაა, გაგვიმხილეთ, პრეზიდენტის ინაუგურაციისადმი მიძღვნილი აკადემიური კონცერტის წამყვანებად თქვენ და ზურა ყიფშიძე რა ნიშნით აგირჩიეს?

– შეიქმნა სხვადასხვა პროფესიის ადამიანებით დაკომპლექტებული სერიოზული კომისია. თავიდან ფიქრობდნენ წამყვანები ახალგაზრდები ყოფილიყვნენ. საბოლოოდ შეიცვალა აზრი და ჩვენ დაგვამტკიცეს. ჩაცმულობაზე იბრუნა მხატვარმა გიორგი ნადირაძემ. დიდი მსჯელობა იყო ჩემს კაბაზე, მე უფრო აკადემიურ სტილს ვამჯობინებ, ის კი ვარდების რევოლუციის სიმბოლოდ აღიქმებოდა. რაც შეეხება ზურას, ისე ვღელავდი, არ შემიხედია რა ეცვა, ფრაკი თუ სმოკინგი.

– ასეთი მშვენიერი, ბომხბალავი, ნიჭიერი მარინა კახიანი რას ფიქრობს მომავალ ბედზე, ახალგაზრდა დაჩაგრა ბედისწერამ; ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა – „მთელი ცხოვრება მარტო არ დავრჩებიო“.

– კარგია, რომ ეს კითხვა დამისვით და საშუალება მომეცა, გამოვხატო წყენა, ჟურნალისტმა არასწორად გაიგო ჩემი ნათქვამი: რომ არ არის სასურველი ქალი მარტო იყოს-მეთქი. წლებია მარტო ვარ, მჭონია შემოთავაზებები, თავს ვერ მივეცი უფლება, ახალი ცხოვრება მომეწყო, არა იმიტომ, რომ ვინ რას იტყოდა, ვერ შევხვდი მეორეს ვიასნაირს. ჩემი ვაჟი ვათა ოცდაორი წლისაა, ჩვენ ნამდვილი მეგობრები ვართ. გია ხუმრობდა – ვათას ჰგონია მარინა მისი დაა, მთელი უბედურებაა, მარინასაც ჰგონია ვათა მისი ძმაო. პატარაობისას რუსთაველის თეატრის რამდენიმე სპექტაკლში ითამაშა, არ მოიწამლა სცენის მტვრით, იურიდიული განათლება მიიღო, ახლა ფიქრობს მამის კვალს გაპყვეს, კინორეჟისორი გახდეს.

– ამ დღეებში სამოცდამეთექვსმეტჯერ, 55 ქვეყანას უჩვენეს ოსკარის დაჯილდოების შოუ-ბიზნესი. მოგეწონათ?

– თავიდან ბოლომდე ვუყურეთ მე და ვათამ. დაგვრჩა უკმარისობის გრძნობა. მსოფლიოში ცნობილი ისეთი ოსკაროსანი ფილმების გვერდით, როგორიცაა: „რომაული არდადეგები“, „ქარწყლებულნი“, „მამაცი გული“, „ვიღაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა“, „ტიტანიკი“ და მრავალი სხვა, წლევანდელი თერთმეტოსკაროსანი „ბეჭდების მბრძანებელი“ არ მესმის, რა ნიშნით შეირჩა. უინტერესო, არაფრისმთქმელმა, უღიმღამო ოხუნჯობებით გაჯერებულმა მთელი ღამის გადაცემამ დიდი ვერაფერი სიამოვნება მოგვანიჭა.

უსათუოდ, ფართო მაყურებელიც ასე ფიქრობს!

ნანული ბუკია

„საქართველოს ქალის“ სტუმარია უკვე საკუთარი ხელწერის მქონე, კარგად ჩამოყალიბებული პოეტი სალომე შენგელიძე. იგი საგარეჯოს რაიონის სოფელ ბადიაურის საშუალო სკოლის მე-9 კლასში სწავლობს. რამდენიმე წელია მისი ლექსები რეგულარულად იბეჭდება რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებში და უკვე ორი წიგნის ავტორიცაა, – მიღებული აქვს მრავალი ჯილდო...

ლექსის უფუჯაღლეპოპით განაწყენებული ბოგონა

– სალომე, როდის დაწერე პირველი ლექსი?

– 7-8 წლის რომ ვიყავი, დედა ჩემს უფროს დაიოს ამეცადინებდა მისადები გამოცდებისთვის და ჩემთვის აღარ ეცალა, მიგდებული ვყავდი. სწორედ მაშინ დავწერე პირველი ლექსი გოგონას მარტოობაზე.

– მერე, დედამ რომ ნახა ეს ლექსი, ჯუარადღება არც მაშინ მოგაქცია?

– არა, არც უნახავს ის ლექსი, ჩემთვის მარილა აღარ ეცალა, ცივ ოჯოს ყველა საგანში თვითონ ამეცადინებდა და მე აღარ ვახსოვდი, დროს ვეღარ მითმობდა, მანამდე კი ძალიან განებივრებული ვყავდი...

– როგორ ფიქრობ, დედას რომ არ „მიეტოვებინე,“ ლექსებს მაინც დაწერდი?

– არა მგონია, რა ვიცი, ალბათ, არა, იქნებ დამეწერა კიდეც...

– როგორ წერ ლექსებს?

– ეს უკვე ისე უცვნ ხდება, ისე თავისთავად, რომ ვერ აგიწერთ, – თითქოს ყველაფრით ავსებული ვარ, თითქოს წინ მიდგას პირთამდე სავსე ფიალა, დავდგები და მერე თავისთავად იღვრება, რიტმულად მოედინება სტრიქონები, თავისით ლაგდება, ფორმასაც თავისით იძენს...

– გამოდის, რომ შენი ლექსები ღვთის საჩუქარია.

– ალბათ. მე ახლოდან ქაღალდზე გადმოვაქვს სიტყვები, მერე ისეთი შეგებას ვვრძნობ ხოლმე...

– შენს ლექსებში შენი ასაკისთვის შეუფერებელი განათლება იგრძნობა, როდის მოასწარი ამდენის წაკითხვა?

– ჩემი დიიო უნივერსიტეტში რომ სწავლობდა, დედა და ის არჩევდნენ ხოლმე ნაწარმოებებს...

საუბარში ჩაერთო სალომეს დედა, ქალბატონი ნანა, რომელმაც მითხრა, რომ 1 წლის და 1 თვის სალომე უკვე გამართულად ამბობდა სიტყვებს, წლინახევრისა კი რამდენიმე სტროფად დექსებს სწავლობდა, თხზავდა ზღაპრებს და სერიებად ყვებოდა. 3 წლის ასაკში სპეტაკლებს მართავდა, სიუჟეტებს თავად იგონებდა და დეკორაციებსაც თვითონ დგამდა. 3 წლისა ტომ სოიერს კარგად იცნობდა, – რობინ ჰუდი, ჩიპოლინო და ბურატინო ხომ მისი განუყრელი მეგობრები იყვნენ... უფროსი გოგონა უკვე ჟურნალისტია, ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტი აქვს დამთავრებული და კლასიფოსეზე რომ ვსაუბრობდით, ვერც კი ვგრძნობდით, როგორ შემოდიოდა სალომე ჩვენს სამყაროში.

– თქვენც ფილოლოგიური განათლება გაქვთ?

– არა, ფიზიკის ფაკულტეტი დავამთავრე ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. პირველ გოგონას მარილა დიდ დროს ვუთმობდი და ვერც კი ადევნებთ, როგორ იზრდებოდა სალომე ჩვენს შორის, – მეორე კლასში ნოდარ დუმბაძე მთლიანად წაკითხული ჰქონდა, მერე კი თანდათან წაიკითხა, როგორც ქართველი, ისე მსოფლიო კლასიკოსები...

– ახლა კი უკვე აღარ ვიცი, რა წავიკითხო, ახლა ზღაპრებს კეთხულობ, ძალიან მიყვარს ზღაპრები, – თავაზიანად ჩამოართვა სიტყვა დედას.

– რაკი დედის „სიცივით დასუსტულმა“ დაიწყე ლექსების წერა, იქნებ მითხრა, რას ნიშნავს დედა შენთვის?

– დედა ჩემთვის ყველაფერს ნიშნავს, დედაჩემი არის ჩემი პაწაწინა, პაწია, ყველაზე სანუკვარი არსება.

– ყველაზე მეტად რომელი მწერალი და პოეტი გიყვარს?

– რუსთაველზე არაფერს ვიტყვი, რადგან თვალშეუდგამი სიმაღლეა, იმ სიმაღლემდე ჩემი მზერა ვერ წვდება, „ვეფხისტყაოსანი“ საოცარი სიბრძნე და მუსაყაა, მე იმ სიბრძნეს სათანადოდ ვერც ადევნებთ... აი, გოგლა კი მწვერვალია, რომელსაც კარგად ვხედავ და ვგრძნობ, მიყვარს ანა, დონანაშვილი, გოდერძი ჩოხელი...

– რა არის შენთვის ღმერთი?

– ღმერთი ჩემთვის არის შეუცნობელი, გამოუცნობი და თანაც კარგად ნაცნობი და შემეცნებული... ღმერთი ჩემი ნავსაყუდელია, ჩემი თავშესაფარი, ჩემი ძალა და იმედი!..

– როგორ გესახება შენი მომავალი?

– სწავლის გაგრძელებას სახულიერო აკადემიაში ვაპირებ, მინდა უფრო ახლოს მივიდე ღმერთთან, მერე კი თვითონ ღმერთი მიჩვენებს მომავალის გზებს.

– ღმერთმა ხელი მოგიმართოს!

– გმადლობთ.

ესაუბრა ნანა ბაგრატიონ-დავითაშვილი

სალომე შენგელიძე

აბსურდია წერტილი

ცხოვრებაა დინება უწერტილო, უმძიმო,
და სურვილთა ქვევრები, ყველა არის
უძირო...
აბსურდია წერტილი, – არაფერი თავდება,
მშვიდი ცხვარი ხანდახან უმიზეზოდ აედება,
და ქათამიც უდგება მელაკუდას თავდებად...
მოვითავეთ ამქვეყნად საბარი და სათოხი,
ადვილად ვერ გავხსენით კარი წმინდა
სამოთხის.
და მოვქრთამეთ ცერბერი, სხვები
მივჯოხ-მოვჯოხეთ,
ალბათ მოგვიძებნიან ჩვენ უკუპრო
ჯოჯოხეთს.
ჰო, – ცერბერიც უდგება ვიღაცეებს
თავდებად,
აბსურდია წერტილი, არაფერი თავდება...

* * *

სინამდვილეა? მითია? –
იქნებ არც ღირდეს კამათი, –
სულში ზამთარი გვინთია,
ყინული და ყიამათი.
ო, რა უეცრად გამქრალა
პირველი თოვლის სითეთრე,
ზამთარი, ცივი, ავქალა,
სულში მზეს ვეღარ
გვიფეთებს.
ზეცა სუდარას ამსგავსა,
ირი ჩემი – აქერონს,
ზამთარს, ცივსა და ურვიანს
სურს, გზები მომინამქეროს...
ზამთარს, ცივსა და უსვიანს,
სურს, თავის ჭკვაზე მატაროს,
მზე-იმედ-ოქროცურვილი
ჩააყლაპვინა ტარტაროსს,
ვისწავლე მისი ხატვა როს.

სევდა ჩიტია და...

ვით დედის ძებნით დაღლილი ბალღი,
უმწეო მთვარე ზეცაში კვნესის,
და მელოდრამის გაცრეცილ ფირზე
უცებ ვარსკვლავთა გაკრთება კვესი...
და მე დრო დამაქვს დაკემსილ საცრით,
წამები მიწას აცვივა ანცი,
თავს არ ვიწონებ არც როგორ, –
არც რით,
არც მიწით, არც ცით...
ურჩი სიჩუმე, მხოლოდ საათი.
ეს სევდაც ვიცი საიდან მოვა,
იქ, ძველ უბანში, უხმოდ ტირიან
იეთიმ გურჯი და საიათნოვა...
და ახლა ფირზე მთვარეა როლში
თითისწვერებზე შემდგარი ბალღის,
ჩემს ფანჯარასთან წკაპუნებს ქოში,
სევდა ჩიტია და „ბრდღვნადაც
არ ღირს...“

„თუ ავადმყოფს სწამს ჩემი, უფრო მალე რჩება“

„ჩემს პრაქტიკაში დიაგნოზის სხვაობა არ მქონია“, – ამბობს ნევროპათოლოგი ნელი ჭარაქაშვილი. ის კურნავს ძალიან ბევრ დაავადებას და ამ წარმატებისაგან თავბრუ არ დახვევია. მისი მეგობრები და კოლეგები ამტკიცებენ, რომ ქალბატონი ნელი ღირსეულად შეხვდა ხალხის აღიარებას, მაგრამ ქედმაღლობა არასოდეს დასტყობია.

*
* *

● ნელი ჭარაქაშვილი ოჯახთან ერთად

ნელი ჭარაქაშვილი თბილისელია, ძველი პლეხანოველი. დაიბადა მოსამსახურის ოჯახში. ჰყავს შესანიშნავი შვილები – მამუკა და მაია.

მაია იტალიაშია გათხოვილი, ცხოვრობს კუნძულ სარდინიაზე, ქალაქ ასემინიში. მისი ქმარი დიონიჯი კარპონი თავისუფალი ეკონომისტია, თვითონ მაია ტურისტულ სააგენტოში მუშაობს. ჰყავს ორი გოგონა – მარია ფრანჩესკა და სოფი.

ნელი ჭარაქაშვილმა 1961 წელს დაამთავა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტი და იქიდან მოყოლებული, მთელი ორმოცწლიანი ცოდნა და გამოცდილება ადამიანების გამოჯანმრთელებას მიუძღვნა.

ნიჭიერება კი მოსწავლეობიდან მოსდევს. სკოლა მედალზე დაამთავრა, ინსტიტუტი – წითელ დიპლომზე. სამედიცინო დარგში თითქმის ყველა სფეროს ფლობს.

ექიმობა ლაგოდეხის რაიონში დაიწყო, შემდეგ იყო გურჯაანის ქირურგი-ორდინატორი, რუსთავის ქირურგი – ტრავმატოლოგი. თბილისში პროფესორ გ. ხუნდაძესთან ანესთეზიოლოგიის სპეციალობა შეისწავლა, შემდეგ ნევროპათოლოგიაში დასპეციალდა და როცა ომის ინვალიდთა რესპუბლიკური კლინიკური ჰოსპიტალი გაიხსნა, იქ მუშაობა ნევროპათოლოგად დაიწყო, სადაც დღემდე მისი კაბინეტის კარი ყველასთვის ღიაა, ზოგჯერ დღეში 27 ხანდაზმულს იღებს. ერთერთ მიღებას მეც დავესწარი. ვუსმენდი ავადმყოფობით დათრგუნულ ადამიანებს და ვხედავდი, როგორ ჩნდებოდა იმედი მათ სხივჩამქრალ თვალებში. რა ბადებდა ამ იმედს, ექიმის დამაჯერებელი დიაგნოზი თუ მორჩენის მტკიცე პირობა. როგორ მალამოსავით მოქმედებდა მკურნალისგან ამის მოსმენა.

ქალბატონი ნელი შინაგანი ქალური მომზიბვლელობითა და დადებითი ენერგიითაა დამუხტული. მისი აზრიანი გამოხედვა და თავდაჭერა თავიდანვე განაწყობს ადამიანს. მას არ ეშინია ავადმყოფობის და თამამად ამშვიდებს პაციენტს. ეს მისი იარაღია! დიახ, ეს ნევროპათოლოგის სამიზნეა.

– მაინც რა ხდება ამ ჯადოსნურ კაბინეტში?

– ჩემი შრომა ნამდვილად ფასდება იმ მოხუცების გამოჯანმრთელებით, რომლებსაც ვემსახურები. მოდიან დავრდომილი, დაუძლურებული და მიდიან მხნედ და გახარებულები. ზოგჯერ დაუძლეველი დაძლეულია. ამ ასაკში მარტო მედიკამენტური მკურნალობა საკმარისი არაა და არცაა რეკომენდებული. საჭიროა მიემატოს ჩინური მეთოდი, ყველა ის საშუალებები, რაც ჩემთანაა დანერგილი. ისე არ იფიქროთ, მხოლოდ მოხუცები მოდიოდნენ, აქ განიკურნა ბევრი ადამიანი, სხვადასხვა დაავადებით.

● ნელი ჭარაქაშვილი სტუდენტებთან

– რა განაპირობებს ხნიერი პაციენტების გამოჯანმრთელებას?

– ის, რომ ზოგის ორგანიზმი შენახულია, გენი ძლიერი და სუფთაა, არაა დატვირთული (მამაკაცები) ვენერიული თუ კოდური დაავადებებით; როცა ადამიანი შთამომავლობით არაა ავადმყოფი, გამორიცხულია გენეტიკური ჰიპერტონია, წყლულოვანი დაავადება და გენი სუფთადაა შენახული თაობიდან თაობამდე (ეს ყველას საზრუნავია), მაშინ სიცოცხლის ხანგრძლიობა დიდია, ორგანიზმს გამძლეობა აქვს და თუკი კარგი სოციალური პირობები დაემთხვა, ამ დროს ადამიანი უფრო დიდხანს ინარჩუნებს სიცოცხლეს. მაგალითად, ღარიბი გლეხი დიდხანს ცოცხლობს, რადგან აკეთებს იმ საქმეს, რაც უყვარს. აქვს თავისი სამყარო და წყნარადაა. მთავარია სიწყნარე და შრომა – არაა საჭირო სიმდიდრე და სტრესები.

ადამიანმა ისე უნდა იცხოვროს, როგორც მისი ბუნება მოითხოვს. თავს არ უნდა ებრძოლოს. ცხოვრების წესი

● შვილიშვილი მარია ფრანჩეკა პირველ აღსარებაზე

იძულებით არ შეიცვალოს. გარდა ამისა, როცა ადამიანი მორჩილია, თვინერია, ჰარმონია სუფევს მის სულში და სხეულში. მას ნევროზი არ ემართება.

საზღვარგარეთ თითქმის ყოველ მესამე ადამიანს სტრესი აწუხებს ყველაზე მარტივი ფორმიდან, ღრმა სტადიით დამთავრებული. მართალია, იქ ცხოვრების მაღალი ღონეა, მაგრამ იქამდე არიან მისული ადამიანები, რომ მთელი ინსტიტუტები მუშაობენ ნევროზის დასაძლევად. ჯერჯერობით ვერ შველიან, ვერ ამარცხებენ ამ უსიამოვნო მოვლენას. თუმცა ბოლო დროს მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ნევროზი სულაც არ არის ავადმყოფობა, არამედ სახასიათო მდგომარეობაა.

საჭიროა ამოვიცნოთ ამ მდგომარეობის ნიშნები და მოვხსნათ სტრესული მდგომარეობა: ტკივილი კისრის, ზურგის და წელის არეში, დაღლილობის შეგრძნება, დაბნეულობა და გულმავიწყობა.

სტრესს შეიძლება ებრძოლოთ, მაშინვე მიმართოთ ექიმს და გარდა ამისა, იკვებოთ ვიტამინებით მდიდარი საკვებით, მაგალითად: ჭვავის პური შეიცავს B1 ვიტამინს, რომელიც კარგად მოქმედებს ნერვულ სისტემაზე, ხსნის დაძაბულობას და გადაღლას. მწვანე სალათის ფოთლები მდიდარია მაგნუმით. ის ამცირებს აღგზნებას. კარგია მაგარი ყველი, რომელიც მდიდარია B6 ვიტამინით, უჯრედებს აწვდის გლუკოზას. ასევე კარგია ბანანი, რომელიც მდიდარია კალიუმით, არეგულირებს გულისცემას, რომელიც თან სდევს ნევროზს.

ძალზე სასარგებლოა ჟანგბადით გამდიდრებული მინერალური წყალი. ის ხსნის თავის ტკივილს და დაღლილობას.

– ძირითადად რა მეთოდებით ეხმარებით პაციენტებს?

– რესპუბლიკაში პირველად ჩემთან გაიხსნა რეფლექსოთერაპიის განყოფილება. რა თქმა უნდა, მთავარი ექიმის ხელშეწყობითა და ხელმძღვანელობით, ბატონ ვლადიმერ სანიკიძის მეშვეობით. შემდეგ შეიქმნა ფიტოთერაპიის განყოფილება.

1982 წელს მივლინებული ვიყავი კიევში, ნეიროქირურგიის ინსტიტუტში. იქ შევისწავლე ლაზეროთერაპია. ესაა ლაზერით ზემოქმედება სხვადასხვა პათოლოგიებზე. განსაკუთრებით კარგად მოქმედებს იგი ოსტეოქონდროზზე, ართრიტებზე (სახსრების ანთება), ქვედა კიდურების ათეროსკლეროზზე.

პირველად ჩვენთან, ჩემს კაბინეტში დაინერგა მაგნიტოთერაპია. ესაა მიკრომაგნიტური აბები, რომლებსაც ჩინურ წერტილებზე ვადებთ და შესანიშნავ შედეგს იძლევა.

– როგორც ვიცით, რაღაც პერიოდი იტალიაში მუშაობდით?

– 1996 წელს, იტალიაში, ბროცუს სახელობის კლინიკური საავადმყოფოს ნევროლოგიის განყოფილებაში სამი თვე ვიმუშავე პროფესორ ანდრია სპოსერთან. იქ ბევრი რამ ვისწავლე, მაგრამ სიამაყით მინდა აღვნიშნო, ჩვენი სპეციალისტებიც საკმაოდ ძლიერები არიან და პირადად მეც იქაური ავადმყოფების სიყვარული და დიდი მოწონება დავიმსახურე.

– ქალბატონო ნელი, თქვენი მკურნალობის დიაპაზონი მოიცავს თითქმის ყველა სფეროს, მაინც რომელ დაავადებებს კურნავთ?

– რადიკულიტებს, მხრის წნულის ანთებას, ჰიპერტონიას, ბრონქიალურ ასთმას, ბრონქიტებს, ენურეზს, კლიმაქტერიულ დაავადებებს, შიშებს, შაქრიანებს ეხმარები იმუნიტეტის აწევაში, ვიმორჩილებ ყველა სახის ნევროზს.

– მაინც რა იწვევს ნევროზს – სიღარიბისა და ხვალინდელი დღის შიში, თუ კიდევ სხვა რამ?

– პირველ რიგში ნერვული დაძაბულობა, ეს უკვე საწყისია. თუ სტრესს ემატება სოციალური ფაქტორი, ოჯახური უსიამოვნებები, საზოგადოებაში უსიამოვნება, თუ პიროვნება წარსულისაგან თავისუფალი არაა და თან აზლავს გენეტიკური დატვირთვა, შეიძლება ვერ გაუძლოს. ვინც ძლიერია და შეუძლია უცებ დაივიწყოს წყენა, მას ნევროზი არ უნვითარდება. ვინც სუსტია და ვერ უძლებს ნერვულ დატვირთვას, ის ნევროზიანი ხდება.

დღევანდელ ნეიროლოგიაში მრავალი მიმართულება, მეთოდი, მიდგომა არსებობს და რომელი მეთოდიც გამომადგება, იმით ვმკურნალობ ავადმყოფს. მთავარი კი წინსვლაა, წინ ბევრი რამის დანახვა შეიძლება და ამის გამოყენება უნდა შეგეძლოს, დაუძლეველი არაფერია.

ხშირად მეკითხებიან, ყველას ეშველი თუ არა? ზოგჯერ ასპროცენტიან გამარჯვებას ვაღწევ, თუ ავადმყოფს სწამს ჩემი, უფრო მალე რჩება და ეს ორივეს გამარჯვებაა.

ირმა ჩოფიკაშვილი

მარიანა
ნანობაშვილი

ჩხატვარი ცინარა ტერელაძე

– ბოლო ვინ არის?

ასე ყურადღებით ბავშვიან ქალს არც ერთ რიგში არ ათვალიერებენ.

– მე... ჩვენ!.. – ანიშნა გვერდზე მდგომზე ძალიან ხუჭუჭა წითურმა ქალიშვილმა.

ბავშვიანმა რიგი შეათვალიერა. მისკენ მიმართული ექვსი წყვილი თვალი საჩქაროდ დაიხარა. ჰაერში გამოჟონილმა თანაგრძნობამ რატომღაც შეურაცხყოფასავით მოუწურა ახალგაზრდა ქალს გადაღლილი გული.

– დედა, ბანანს ლოდის მიყიდი? – სერიოზული სახით ახედა საოცრად ლამაზმა, სამიოდე წლის გოგონამ...

– ...უკაცრავად, ეს „მარშუტკა“ მიდის ონკოლოგიურში, ხომ? – იკითხა ვიღაცამ.

თავების უხმო ქიცინი.

შემოსრიალებულ სამარშრუტო ტაქსს გაორებული გრძნობით შეხვდნენ. ერთის მხრივ, ტრადიციული შვებით – როგორც იქნა... არადა, აქ, გაჩერებაზე, ჯერ კიდევ იმედი იყო შემთხვევის, ექიმის, სხივების, გენური ინჟინერიის ახალი მიღწევების და ბედის; თუ იმედი აღარ იყო, ფაქტი მაინც ჯიუტობდა და თვალს აშშვიდებდა თავისთვის მოფუსფუსე ხალხის, მანქანების, თებერვლის ყინვიანი ჰაერის სახით, ეს ყველაფერი თავისი ეგოისტური ყურადღებისმიუქცევლობით გაგრძნობინებდა, რომ ცოცხლობ და ამიტომ, არა გიშავს რა. იქ კი... კედლები, ექიმები, ლაბორინთების მსგავსი დერეფნები, ჩახლართული სართულები, ექიმების გამოხედვები, ავადმყოფები – ყველაფერი შენზეა კონცენტრირებული – არა აქვს მნიშვნელობა – ავადმყოფი ხარ თუ ჭირისუფალი, „მსუბუქი“ თუ „მძიმე“... – ეს შენობა ყველას ერევა თავისი აურით, დანტესეულით – „აქ შემომსვლელო, გადაიწურე იმედი...“

მერე... თანდათანობით მოგარჯულებს, დაგცლის და გათიშული მორჩილად დაიარები, როგორც ცუდ სიზმარში... იმ კოშმარში, როცა გაღვიძებისასღა ხვდები, რომ სიზმარი იყო... ერთი განსხვავებით – გამოღვიძების შვება აქ ან გიწერია, ან – არა...

... მგზავრებმა გაჩერებულ მანქანაში აუჩქარებლად დაიწყეს ასვლა. ავადმყოფები და მათი „პატრონები“ თეთრი და შავივით განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან. თანაგრძნობ მზერებს გამოქცეული თვალდახრილი ბავშვიანი ქალი „მარშუტკის“ ბოლოსკენ ფეხალავდა გზას. წითური გოგო დედამისს დაჯდომაში ეხმარებოდა...

– აბა, წავედით?– აძვრა თავის სკამზე ორიდე წუთით გასული მძღოლი, კარი ხმაურით მოიჯახუნა და მანქანა დაქოქა.

ბავშვიანი ქალი შესამჩნევად შეკრთა. სახეზე ფერი არ ედო.

– დედა, ფისი მინდა, – წყნარად თქვა ბავშვმა. საერთო დუმილში მისი ხმა მკაფიოდ გაისმა. მოქუფრულმა, სახეჩამოხმარმა მგზავრებმა ერთდროულად მოიხედეს. ბევრს გაეღიმა. ქალს გული გადაუტრიალდა, თვალი მაშინვე მძღოლის სარკისკენ გაექცა. ის მშვიდად უცქერდა გზას...

...თუმცა, როდესმე ხომ უნდა შეხვედროდნენ... ორ წელზე მეტი გავიდა...

ნუთუ, გულმა მაინც არ უთხრა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ეს ნახევარჩურჩული მისი შვილის მკერდიდან ამოსული ხმა იყო?

– ფისი მინდა, – წაიჭიჭყინა ბავშვმა ისევ.

ქალი ცხარედ აჩურჩულდა პატარა ყურთან – არა, არაფრით არ შეიძლება... სირცხვილია, დედიკო, ხალხია... ოღონდაც ახლა გაჩერდი, ოღონდაც მოითმინე, და დედა ერთს კი არა, ორ, სამ, ათ ბანანს გიყიდის, შოკოლადს გიყიდის, ციდან ვარსკვლავს მოგიწყვეტს, ოღონდ ახლა გაჩუმდი.

ბავშვი მორჩილად გაყუჩდა. ქალს მოეჩვენა, რომ მძღოლი სარკეში სალონის მოთვალიერებას აპირებდა და მის წინ მოქანავე ზურგს ამოეფარა...

...ბავშს რომ დაინახავს, ყველაფერს მიხვდება... დეტალებზე ჩაიცვდება... საავადმყოფოში გაჰყვება? მუშაობას შეწყვეტს? მანქანას მიაგდებს? ვერ განუსაზღვრავს მისი ქცევა... უკვე დაავიწყდა იგი... თუ არ იცნობდა წესიერად არასდროს...

– „დედა, ცუდად ხომ არა ხარ? – საოცარი მზრუნველობით მეათედ ეკითხება წითური გოგო ხანშიშესულ ქალს. ისე ჰგავს, როგორც ახალგაზრდობის ფოტო მოხუც ორიგინალს... თუმცა ფოტოს დედა უფრო ჰგავს – გაცრეცილ, ჩაყვითლებულ მოგონებას ცხოვრებაზე... ტანჯულ სახეზე ეტყობა, შვილის სულისშემძვრელი ტონის აღქმის თავი არა აქვს, მობეზრებით ოდნავ გაუქნია თავი, არაო...

... ორი წელი ბავშვს არ ანახებდა... გაუცნობიერებლად შურს იძიებდა, როგორც შეეძლო... მან ხომ იმდენი ტკივილი დაუტოვა... დაუგროვა და დაუტოვა... ალბათ, თვითონაც გრძნობდა, არ ჰქონდა უფლება, დაეუნა ბავშვის ნახვა... აბა, სხვა რა მიზეზი უნდა ყოფილიყო, რომ ასე იოლად შეეგუა შვილის უნახაობას... ისე დამამცირებელია ახლა მის მანქანაში აღმოჩენა... რას წარმოიდგენდა... როგორ გაქრეს აქედან? ქალმა მგზავრები მოათვალიერა... ვინმეს მისცემს თავის ზურდას, გადაეცითო... მერე თავს დახრის, მოქანავე ზურგს ამოეფარება და... ვითომ შეძლებს შეუმჩნეველად ჩასვლას?

... დრო გაჩერდა. მანქანის სალონი, ლინოლეუმი, მგზავრების სახეები, მოქანავე ზურგი იმდენად ნაცნობი ეჩვენა, თითქოს ეს მომენტი ადრეც მომხდარა, თითქოს ათასჯერ უნახავს სწორედ ეს ყველაფერი, სხვა ცხოვრებაში...

... წარმოუდგენელი ეჩვენებოდა შეხვედრა ამ სიტუაციაში, ამ განწყობით... ამ გარეგნობით...

ქალმა ბავშვი მეორე მუხლზე გადაისვა, ჩანთა გახსნა და პატარა სარკე ნახევრად ამოაძვრინა... რატომ არ დაიხატა დილით!... თუმცა, ცუდად არ გამოიყურება... რას ანთებია თვალები, ავარდისფერებია სახე? ამაზე ფიქრი არ ღირს... დედა რომ ხედავდეს ახლა, მოკლავდა...

რატომ? იმიტომ რომ, თუმცა ამაზე არ ფიქრობს, სულაც აღარ ეფარება მოქანავე ზურგს. პირიქით, მძღოლის სარკეში გაუცნობიერებლად ხარბად ეძებს ნაცნობ თვალებს... როცა ჰგონია, რომ პოულობს, მოგონილი გულგრილობით ფანჯარაში იხედება, პოზას იკავებს, იძლევა საშუალებას იცნონ, გაოგნდნენ, გაშტერდნენ, მოახდინონ ავარია, მოკვდნენ... საშინელი გრძნობაა – თითქოს შიშველი გამოაგდეს სცენაზე, სადაც დაკვირვებით უთვალთვალებს უხილავი ჩაბნელებული დარბაზი... ნეტავ დაინახა? იცნო? როგორ არ იცნობდა, თუ დაინახა... თუ დაკვირდა... თავი აიძულა, მძღოლისთვის შეეხედა... ის მშვიდი სახით მართავდა მანქანას და წინ იხედებოდა... არა, ვერ შენიშნა...

რაღა ახლაა გაჩუმებული ეს ბავშვიც... თუმცა, მისი ხმა მაინც არაფერს ეტყვის მამამისს... ორი წელი არ უნახავს... გულმა მაინც როგორ არ უგრძნო?

არა, არავითარ შემთხვევაში არ გააბედინებს საავადმყოფოში გამოყოლას! აქამდე სად იყო? ბავშვის დაბადების დღეებზე, გაყინულ ზამთრებში იყო? სად იყო უძილო ღამეებში, უძირო შიშში, დიაგნოზების ცვლაში? ახლა – დიდი მადლობა, ლაზერის სხივებს თვითონაც გააკეთებინებს, იმ მაჯლაჯუნის მკურნალობის ფულსაც რამენაირად იშოვის, ეოზინოფილური გრანულომა რომ რქმევია...

!...

... ისე, ექიმთან მამაკაცთან ერთად რომ მიხვალ, სხვა წონაა... ამ სიტუაციაში, ალბათ, არაადამიანურობაა გამოყოლაზე უარის თქმა. ალბათ, გაგიჟდება... რაც უნდა იყოს, მაინც შვილია...

ჩასვლისას ცივ სახეს მიიღებს, არაფერს ეტყვის... ან რა უნდა უთხრას, გასასეირნებლად ხომ არ ამოიყვანდა ბავშვს ამ საშინელ ადგილას... „მადლობთ ყურადღებისთვის, ეს შენი პრობლემა არაა“... არაა საკმარისი, რაღაც უფრო მწარეა საჭირო... „მართლა გაინტერესებს? საოცარია...“ ჰო, უკეთესია... ყველას აჯობებს, მან დაბნეულად ჰკითხოს: „აქ რას აკეთებ?“ მაშინ ირონიულად ახედ-ჩახედავს და... „შენ რას აკეთებ აქ?“ (ჰმ, „ჩემი ბიჭი ისეთი ნიჭიერია... აუცილებლად დატოვებენ კათედრაზე!“)

...გაუცხოებულმა ახლობელმა სილუეტმა საჭე უკანასკნელად მოატრიალა და მანქანა გააჩერა. ხალხი ამოძრავდა. ვიღაცამ კარი გააღო...

ჩადიოდნენ დიდხანს – დინჯად, ფეხათრევით...

ახალგაზრდა ქალს გული ამოვარდნაზე ჰქონდა, თითებში ნერვიულად ათამაშებდა ორმოცდაათთეთრიანს... კარს მიახლოებულმა წარბები აზიდა და თავისი ყველაზე შთამბეჭდავი, ლამაზი მზერით ახედა ყოფილ ქმარს. მძღოლმა გამოწვდილ თითებს დიდი ხელისგული შეუშვირა, მარცხენა კი მისკენ წამოსულ მეორე მძღოლს დაუქნია, ღიმილით ელოდებოდა მის მოახლოებას... ქალისკენ არ გაუხედავს... ვერც ის დენი იგრძნო, მათი ხელების წამიერი შეხებისას რომ დაუარა...

– დედიკო, ჩქარა ლა...

დიდმა ხელმა ხურდა იგრძნო, მომუჭა და ფულის კოლოფში დაუდევრად მოისროლა. შემდეგ მოახლოებულ თანამშრომელს მხიარული საუბარი გაუბა „მალხაზას გუშინდელ პახმელიაზე“...

როცა ქ-ნ მანანა მოსულიშვილთან შესახვედრად ვემზადებოდი, სამართლე გითხრათ, ეორჭოფობდი, ვერ გადამეწყვიტა, რომელი კუთხით წარმომეჩინა იგი. თავად განსაჯეთ – პოლიციის პოლკოვნიკი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, შსს-ს აკადემიის ზოგადიურიდიული დისციპლინების კათედრის უფროსის მოადგილე, ოცი სამეცნიერო სტატიისა და სამი მონოგრაფიის ავტორი, აკადემიის ქალთა საბჭოს თავ-რე, გაზეთ „აკადემიის“ რედკოლეგიის წევრი, ღირსების ორდენის კავალერი.

და იქვე – წარსულში ცნობილი კალათბურთელი, ეროვნული (და ერთ დროს საკავშირო) კატეგორიის მსაჯი, საქართველოს კალათბურთის ფედერაციის, მსაჯთა ასოციაციისა და სადისციპლინო კომისიის წევრი, ჩემპიონატის მთავარი მდივანი და დღესაც ეროვნულ ჩემპიონატებისა და საქართველოში ჩატარებული ყველა საერთაშორისო შეჯიბრების აქტიური მსაჯი.

წერს ლექსებს, თარგმნის პუშკინის, ესენინისა და პოლონსკის ლირიკას, ავტორია პოეტური კრებულისა „ღამის ფიქრები“.

„ოჯახში პოლკოვნიკი და გენერალი არ არსებობს“...

ვიცინებიანი პატარა გოგონა კართან ატუზულა და ჭუჭრუტანიდან შესცქერის კალათბურთის მოთამაშეებს. დღეს უკვე მესამედ დაიწუნა მასწავლებელმა, ტანდაბალი ხარო და დარბაზიდან გამოუშვა. შინ მაინც არ მიდის, ჯიუტად შეუკრავს მუშტები და ძლივს იკავებს თვალზე მომდგარ ცრემლს. გარეთ წვიმს, თითქოს ცას მის ნაცვლად მიუცია დაგრილი ბოლმისთვის შვება. არ ახსოვს, რა დრო გავიდა, შესცივდა, მოშიდა კიდეც, მაგრამ ადგილიდან ფეხს არ იცვლის. უცებ სპორტდარბაზის კარი იღება და მწვრთნელი გამოდის. გოგონას დანახვისას კაცს სახე უგრძელდება და შეშფოთებულს, არ გაცივდესო, შიგნით შეჰყავს. დარბაზში თბილა, ნათურები ბრდღვიალებს და რეზო მასწავლებლის რჩეულები ბურთს დასდევენ.

მერე სასტვენს ჩაბერეს და გოგონები გუნდებად დაიყვნენ. ერთგან მოთამაშე დაკარგდათ. მწვრთნელმა თვალით ანიშნა და ისიც გაბრწყინებული სახით გაიქცა ახდენილი ოცნებისაკენ.

იმ დღიდან მანანა მოსულიშვილის ცხოვრებაში კალათბურთი სამუდამოდ შემოიჭრა. მწვრთნელს რეზო იობიძეს ისე მოეწონა ციცქნა გოგონას მონაცემები, რომ დაუვიწყარი წვიმიანი დღის შემდეგ მხოლოდ მისკენ მიმართა ყურადღება. ამაგი დაუფასდა – მეექვსეკლასელი მანანა, როგორც მისი ასაკის საუკეთესო მსაჯი, არტეკში გააგზავნეს, სადაც ერთი მეოთხედის მანძილზე სწავლობდა და თან სპორტულ ღონისძიებებშიც მონაწილეობდა.

უპასუხისმგებლო არასოდეს ყოფილა. როგორც სპორტსმენს, ოსტატ კალათბურთელთა ნაკრები გუნდის წევრს, გამოცდებს არ აბარებინებდნენ, მაგრამ ერთი დღეც არ ყოფილა, გაკვეთილი არ ესწავლოს. უნივერსიტეტში მისაღებ გამოცდებზე სპორტსმენთა სიაში შეიყვანეს, მაგრამ თავმოყვარე ქალიშვილმა – საკუთარი ცოდნით სადაც მოვეწყობი, იქ ვისწავლიო, ფიზკულტურის ინსტიტუტს მიაკითხა. და არც უნანია, წარჩინებული სტუდენტი (ახლა აღარა აქვს ფასი, თორემ მაშინ...) ქალაქის საბჭოს დეპუტატად აირჩიეს. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ კალათბურთის კათედრაზე ლაბორანტად დატოვეს და ფიზიოლოგიურ თემაზე „სპორტსმენის ძილი“ მუშაობას შეუდგა. სამწუხაროდ, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, ასპირანტურაში მისთვის ადგილი არ გამოიძებნა. სწორედ იმ ხანებში შსს-მ მასშტაბურ პროფილაქტიკურ ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებს უხმო და მთელ ქვეყნიერებაზე შემომწყრალი მანანაც სტუდენტთა ათეულს ჩაუდგა სათავეში. შტაბში ისე მოეწონათ მისი აქტიურობა, მილიციაში არასრულწლოვანთა ხაზით შესთავაზეს მუშაობა. სასტიკად იტაცა, სად მე და სად მილიციაო.

მაგრამ, ხომ მოგეხსენებათ – „კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო“. ერთმა შემთხვევამ (ტრანსპორტში საფულე და საბუთები ამოაცალეს) საბოლოოდ განსაზღვრა მისი მომავალი. მუშაობა მაშინდელი ორჯონიკიძის რ-ნის ბავშვთა ოთახის ინსპექტორად დაიწყო. პირველ ხანებში ძალიან ეუხერხულებოდა, გაოცებულ მზერას რომ აყოლებდნენ ლეიტენანტის ფორმაში გამოწყობილს. მერე შე-

ეჩვია. ახლა, აგერ უკვე ათი წელია, პოლკოვნიკი გახლავთ.

იურიდიული განათლების მიღების აუცილებლობა სერიოზულ თანამდებობაზე გადაყვანით იყო ნაკარნახევი. მის ყოველ დაწინაურებას (მოგვიანებით სისხლის სამძებროს ხაზით მუშაობდა და შსს-ს სისხლის სამართლის სამძებროს უფროსი ოპერრწმუნებული გახლდათ) მავანნი აპროტესტებდნენ – იურისტი არ არისო. ჰოდა, მოსკოვის მილიციის უმაღლესი სკოლის თბილისის ფაკულტეტს (ახლანდელი შსს-ს აკადემია) მიაკითხა, წარმატებით ჩაბარა მისაღები გამოცდები და დაუსწრებელი სწავლების სტუდენტი გახდა. მუშაობა ერთი დღითაც არ შეუწყვეტია, მონაწილეობას იღებდა ოპერატიულ ღონისძიებებში, იმყოფებოდა ყველგან, სადაც საქმე მოითხოვდა. აკადემიაში ლექციების წაკითხვა პირდაპირ სახელმწიფო გამოცდაზე შესთავაზეს. უარი არ უთქვამს. თავიდან კვირაში ორჯერ ხვდებოდა კურსანტებს, მერე კი, როცა მიხვდა, რომ ორი ბატონის მსახურობა არ გამოადგებოდა, თანაც პატარა ამირანიც ჰყავდა მისახედი (მეუღლე სიცოცხლის ბოლომდე ვერ შეეგუა მის სამსახურს ორგანოებში), საბოლოო არჩევანი აკადემიაზე შეაჩერა. ქვეყნისათვის უმძიმესი 1991 წელი. აკადემიაში სპეცდანიშნულების ასეული შეიქმნა და მანანა მისი ერთადერთი მანდილოსანი წევრი იყო. წისქვილის დოლაბივით დატრიალდა მის თავზე ყველაფერი: კონფლიქტები, არეულობა, დაღუპული კურსანტები.

● მანანა მოსულიშვილი კურსანტებთან

დღეს პოლიციის პოლკოვნიკი, იურიდიულ მეცნ. კანდიდატი ქ-ნი მანანა მოსულიშვილი შსს-ს აკადემიის ზოგადიურიდიული დისციპლინების კათედრის უფროსის მოადგილეა და აკადემიის 700-მდე კურსანტს (მათ შორის გონებსაც) სახელმწიფოსა და სამართლის თეორიას ასწავლის. მკაცრი, სერიოზული და შეუვალი პედაგოგია, მომავალ პოლიციელებს ზრდის და კაცებად, მოქალაქეებად აყალიბებს. კურსანტები, რომლებიც სამართალმცოდნეობის, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების, ფსიქოლოგიისა და სახანძრო უსაფრთხოების ფაკულტეტებზე სწავლობენ, განსაკუთრებული დისციპლინითა და მონდომებით გამოირჩევიან. აკადემიაში ისწავლება საიდუმლო საგნებიც, რომლებსაც სხვა უმაღლეს სასწავლებლებში ვერ შეხვდებით. ყოფილი რექტორი, გენერალ-ლეიტენანტი ბ-ნი გურამ ქარქაშაძე, იურისტი და ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატიც გახლავთ, ამიტომ რა გასაკვირია, რომ ნიჭიერ სტუდენტებს, რომლებიც კარგად ხატავენ, ცეკვავენ, მღერიან და ლექსებს წერენ, განსაკუთრებული ყურადღებით ექცევიან. პრობლემები აქვთ, მაგრამ სიძნელეებს არ ეპუებიან და საკუთარი ძალებითვე ცდილობენ მათ მოგვარებას.

როგორც ქ-ნ მანანას მიაჩნია, აკადემიის კურსდამთავრებული იურისტები სხვათაგან გამორჩეულნი არიან, რადგან სტუდენტობის პირველივე დღიდან ფორმა აცვიათ, მუნდირს კი თავისი ღირსება აქვს და დაცვა სჭირდება.

დღეს საზოგადოება რომ პოლიციის ძაგებაშია, ძალიან აწუხებს პოლკოვნიკ ქალბატონს. ამბობს, ყველას ერთი ხელის მოსმით ლანძღვა არ შეიძლება, ნაღდ პოლიციელს ბუნებაში აქვს თანამოქალაქის სამსახური. თავად ლექციებზე ხშირად საუბრობს ეჭვმიტანილის, დაკავებულის უფლებებზე და ხაზს უსვამს, რომ ნამდვილ პოლიციელს მოსმენის, ანალიზის, ინფორმაციის გადამოწმების უნარი უნდა ჰქონდეს და ოჯახს სუფთა ხელებით არჩენდეს.

კურსანტები ძალიან ენდობიან და პირადი პრობლემების მოსაგვარებლად თუ რჩევის მისაღებად ხშირად აკითხავენ საყვარელ პედაგოგს. ისიც მუდამ მზადაა დასახმარებლად. ცდილობს გულნაკლული არავინ დარჩეს.

...შინ გვიან საღამოს ბრუნდება. მთელი დღის დაქანცულს ახლა ნამდვილი ქალური საქმეები ელოდება. ოჯახში პოლკოვნიკი და გენერალი არ არსებობს, ისიც წინსაფარს იკეთებს და დიასახლისობას იწყებს: გაჭურაზე ჩაიდანი თუხთუხებს, სარეცხის მანქანაში თეთრეული ტრიალებს, სანამ შუქი არ გამოურთავთ, დაუთოებაც უნდა მოასწროს.

მერე გვიან, ძალიან გვიან, როცა ძილის საბურველი გადაეფარება უზარმაზარ მიკროაიონს, აფორიაქებული სულის დასამშვიდებლად, საქსოვს ან ნახევრადწაკითხულ წიგნს მოჰკიდებს ხელს, თუ ბედმა გაუღიმა, იქნებ მუზამაც მოაკითხოს და მაშინ უკვე მისებურად, მძივებად აასხამს ღამის ფიქრებს.

მანანა იმესაშვილი

სიმღერა უპირველეს ყოვლისა

● ნათელა შარაბიძე

გასაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ადამიანის გაცნობა ხშირ შემთხვევაში ერთი შეხედვითაც საინტერესო შთაბეჭდილებას ტოვებს, მით-უმეტეს, თუ მას ამისათვის გარეგნობაც ხელს უწყობს. კმაყოფილების გამოსახატავად ასეთ ადამიანებს ძალაუნებურად სილამაზის ფორმულას მივუსადაგებთ: „ლამაზ სხეულში ლამაზი სულია“. ასეთ პიროვნებად აღიქმება თბილისის ერთ-ერთი თვალსაჩინო ქალბატონი, პიანისტი და ვოკალისტი ნათელა შარაბიძე. მისი ლამაზი სიმღერით ტკბობა, როგორც სცენიდან, ასევე მეგობრების წრეში მსმენელთათვის „სიცოცხლის ელექსირის“ მიღებას ნიშნავს.

ნათელამ წარჩინებით დაამთავრა თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახ. კონსერვატორიის საფორტეპიანო ფაკულტეტი. არჩევანი თითქოს ამით უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ მიუხედავად წარმატებისა, დაუკმაყოფილებლობის გრძნობამ შეაწუხა, მალე გამოუტყდა თავის თავს, რომ სიმღერისათვის იყო დაბადებული. ამას ადასტურებდა მისი გენეტიკური კოდი. დედა ელენე სოხაძე საოპერო თეატრის სოლისტი იყო, დეიდა ეკატერინე სოხაძე – ოპერის ცნობილი სახალხო არტისტი, ბაბუა – ქართული მუსიკის ლოტბარი ნიკო შარაბიძე. და, აი, გენეტიკამ იზეიმა. სიმღერის სიყვარულმა უფრო მძლავრად იფეთქა ნათელას სულში. ბევრი აღარ უფიქრია და ახლა კონსერვატორიის ვოკალური ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. მისმა ძლიერმა ფართოდიაპაზონის ხმამ სოპრანოს მრავალფეროვანი რეგისტრების უბადლო მფლობელს მეორე დიპლომი არგუნა. ორგზის სტუდენტობამ მის სამყაროში მყარი ნიადაგი შეუქმნა. ჯერ კიდევ ვოკალური ფაკულტეტის სტუდენტი იყო, როცა 1970 წელს თავისივე პედაგოგის, სახალხო არტისტის დავით ანდღულაძისადმი მიძღვნილ შემოქმედებით საღამოზე ის და ზურაბ ანჯაფარიძე მონაწილეობდნენ ისეთ დიდ მომღერლებთან ერთად, როგორებიც არიან სახალხო არტისტები: ნოდარ ანდღულაძე, ზურაბ სოტკილავა და სხვები. ნათელამ შეასრულა ჰენდელის „ძველი არია“, შუბერტის „ავე მარია“, მანუელ დე ფალიას „მავრიტანული შალი“. მისი სტუდენტობის პერიოდში ბევრი წარმატება და სასიხარულო მომენტი იყო. მან სწორად იჰოვნა თავისი ადგილი საოპერო ხელოვნებაში.

მერე რა მოხდა ნათელას ცხოვრებაში? ალბათ, უფრო დიდი რამ. ერთ მშვენიერ დღეს უნიკალურ ეზოში ფეხაჩქარებით მიმავალ ნათელას შემთხვევით შეეჯახა და გვერდი გაუკრა მასავით ლამაზმა ჭაბუკმა. ორივემ ბოდიში მოიხადა... პაუზის შემდეგ, როცა ერთმანეთს თვალებში ჩახედეს, ქალიშვილის სილამაზით მოხიბლულმა ყმაწვილმა ისარივით ესროლა: „ჩემი ცოლი უნდა გახდე“. სულ მალე ასეც მოხდა. ნათელას ცხოვრებაში სიყვარულმა დაიკავა პირველი ადგილი. შვილი, მერე შვილიშვილები და მაინც სიმღერის სიყვარული არ განელებულა. მუსიკა და სიმღერა მისი ცხოვრების თანამგზავრია. ან როგორ შეიძლება სხვანაირად. ნათელას მეუღლე ლერმან ლეკიშვილი (ეკონომისტი) მშვენივრად მღერის და გულთან ერთად ხმებიც მშვენივრად შეუწყეს ერთმანეთს. მღერიან ორ ხმაში ქართველი კომპოზიტორების ვ. აზარაშვილის, ა. კერესელიძის, მ. სებასკვერაძის ნაწარმოებებს, რუსულ რომანსებს, იტალიურ, ესპანურ სიმღერებს, ოჯახის წევრებადან სიმღერის ნიჭი ვაჟსაც და შვილიშვილებსაც გამოჰყვათ, მაგრამ ბებიის საესტრადო მოღვაწეობას გოგონა გააგრძელებს.

ნათელა ჯაზური მუსიკის დიდოსტატიც ბრძანდება. მისი ძლიერი ხმის რეგისტრი, როგორც სოპრანოს, ისე მეცოსოპრანოს თავისუფლად ფლობს და მრავალფეროვან მოდულაციებში ძალდაუტანებლად ჟღერს ფორტეკ და პიანოც. მის მომხიბლავ გარეგნობას თან ახლავს ბუნებრივი არტისტიზმი. მისი ჭეშმარიტი ნიჭის დასტურია სხვადასხვა წლებში ჩატარებული კონცერტების აფიშები. 1993 წელს ხორავას სახელობის სახლში გაიმართა ქალბატონ ნათელას სოლო კონცერტი. მსმენელებით გადაჭედილ დარბაზში საღამო მიჰყავდა კოტე მახარაძეს. 1975 წელი. კონცერტის კონცერტმეისტერები იყვნენ ნანა ხარაძე, ჯუნა გერსამია, ნუნუ დუღაშვილი, თამრიკო ლომია, მაია კანკავა. 1995 წელი. ხელოვნების მუშაკთა სახლი. წამყვანი კოტე მახარაძე. კონცერტმეისტერები ჯუნა გერსამია და ლია ხუგაშვილი. 1997 წელი. ფილარმონიის დიდი დარბაზი, წამყვანი მაია დათუნაშვილი, 2001 წელი, კონსერვატორიის მცირე დარბაზი, წამყვანი ია მიქაძე. მრავალფეროვანია მისი პროგრამების მუსიკალური პალიტრა: ჩუბინიშვილი, „შენ ოცნება ხარ“, „ქალო ენახე ფეხშიშველი“, ს. ცინცაძე „წეროები“, ეთერ ჭელიძე „ჭადარა თბილისი“, ნ. ვაწაძე, „მოლოდინი“, გ. ცაბაძე, „მუხამბაზი“, ვერის უბნის მელოდიები“, გურამ ბზვანელი „ჩემო სამშობლო“, რ. ლაღიძის „თბილისო“, ზ. ხელაიას „სიზმარი“, ი. გურგულიას „პირველად იყო სიმღერა“, ლ. საყვარელიძის „სადა ხარ“, „ნატვრა“, ვ. აზარაშვილის „დაკარგული სიყვარული“, „ისევ წვიმს“, ჯ. კახიძის „სატრფიალო“, ნ. დუღაშვილის „გადამრიე“, ნ. გაბუნიას „ბედის ვარსკვლავი“, მ. კვალიაშვილის „როგორ მიყვარხარ“, „იმედი“, ნ. მაისურაძის „სვეტიცხოველი“, „ძმის საგალობელი“, ნ. ჩხეიკაძის „სიმღერა თბილისზე“, რუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სული რომანსები, ბოშური რომანსები... საზღვარგარეთული სიმღერები.

ქალბატონი ნათელა საზოგადოებრივი საქმიანობითაც გამოირჩევა. საქართველოს კულტურის ფონდთან არსებული საქველმოქმედო საზოგადოება „თბილისელის“ აქტიური წევრია. მის მრავალმხრივ საქმიანობას მადალი შეფასება მისცა ამ საზოგადოების ყოფილმა პრეზიდენტმა გ. ცაციშვილმა, მისთვის გადაცემული მადლობის სიგელებით და სიტყვიერი განცხადებებით: „თქვენ ის პიროვნება ბრძანდებით, რომელსაც შეუძლია უანგაროდ ემსახუროს თავის სამშობლოს, როგორც ჭეშმარიტი მოქალაქე. თქვენი როლი უაღრესად დიდია ქალთა საკრებულოს შექმნასა და მოღვაწეობაში. თქვენ ჩვენი საზოგადოების ქალებთან ერთად უდიდესი საქმე გააკეთეთ ჩვენი ქვეყნისა და ხალხის კეთილდღეობისათვის, განსაკუთრებით აღსანიშნავია თქვენი დიდი ამაგი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთადმი დახმარებასა და ლტოლვილების მოვლა-პატრონობაში. ღმერთი იყოს თქვენი და თქვენი შესანიშნავი ოჯახის შემწე და მფარველი“.

დამანა მდივნიშვილი



● ნათელა და მეუღლე ლერმან ლეკიშვილი

ფსიქოლოგის აზრი

„ტელეტაბუცები“

ჩვენი პატარებისათვის საინტერესო თემებზე მსჯელობისას ხშირად ორიენტირს საკუთარ თავზე ვიღებთ და სრულიად გვავიწყდება, რა უზარმაზარი უფსკრულია ბავშვისა და უფროსის აღქმას შორის! „ტელეღიპუცები“ ამ მხრივ უნიკალურია. ვიდრე პროგრამაზე მუშაობას შეუდგებოდნენ, ავტორებმა, ისე, რომ საკუთარ მოგონებებს არ ენდნენ, ყურადღებით გამოიკვლიეს დღევანდელი ბავშვების ინტერესთა სფერო – რა მოსწონთ და აღელვებთ მათ.

ჰოდა, შეიქმნა უცნაური არსებები, რომლებიც რაღაცით ჰგვანან კიდეც იმ ბლუშის დათუნიას, ჩვენი პატარა ძილის წინ ლოგინში რომ იწვენს. ერთდროულად ორიგინალური და საოცრად ნაცნობი „ტელეღიპუცები“ იოლად გვამახსოვრებენ თავს და ჩვენი შვილების წარმატებულ ფსიქოლოგიურ პორტრეტს წარმოადგენენ. მათ მოძრაობაში, სიმღერაში, სიცილსა თუ ლაპარაკში პატარები ადვილად სცნობენ საკუთარ თავს და ის ფაქტი, რომ მთავარი მოქმედი პირი ბავშვია, სრულიად აკმაყოფილებს მათ ეგოცენტრიზმს.

„ტელეღიპუცების“ ისტორიები ძალიან წაგავს თითქმის ყოველთვის დაუმთავრებელ პირველ ბავშვურ თამაშებს, არცოუ ეშვიათად რამდენიმე სიუჟეტური ხაზით რომ ვითარდება: მხიარულ, ხასხასა მწვანე მინდორზე გაჩენილი ნებისმიერი საგანი მაშინვე იპყრობს მათ ყურადღებას და ახალი თამაშიც იქვე იბადება. სწორედ ამიტომ, ერთ გადაცემაში შესაძლოა რამდენიმე სრულიად განსხვავებული დამოუკიდებელი სიუჟეტი განვითარდეს, რომელთაგან განსაკუთრებით მოწონებულს „ტელეღიპუცები“ სიამოვნებით უყურებენ ორჯერ. ამით ისინი ძალიან ჰგვანან თავიანთ ტელემაყურებლებს, რომლებიც მზად არიან უსასრულობამდე აშენონ ქვიშის კოშკები და ისმინონ ერთი და იგივე ზღაპრები.

„ტელეღიპუცები“ თავიდან გასართობ პროგრამად იყო ჩაფიქრებული, მაგრამ გადაცემაში უხვად არის საგანმანათლებლო ელემენტებიც. ტელეკამერების მიერ საგნებით მანიპულირება პატარა მაყურებელს სამყაროს მრავალფეროვნების აღქმაში ეხმარება და ამა თუ იმ საგნის ბუნებრივი თვისება სულაც არ უშლის ხელს ამ უცნაურ არსებებს მათებურად მოეპყრან საგანს. თუნდაც მტვერსასრუტი, რომელმაც იატაკზე დაღვრილი ნაღები და ოთახში შემთხვევით შემოფრენილი ღრუბელი შეისრუტა და გადამუშავების შემდეგ გარეთ კრემის ღრუბელი გამოაძევა. ასეთი შესანიშნავი და მოულოდნელი ეფექტი ფანტაზიორობისკენ უბიძგებს ბავშვებს, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ ასაკში.

ამგვარად, თუ გსურთ უკეთ გაუგოთ თქვენს პატარებს, უყურეთ „ტელეღიპუცებს“. ეს ბავშვური ლოგიკის მიხედვით აგებული მართლაც რომ ერთადერთი გადაცემა და სწორედ ამაშია ჩვენს პატარებს შორის მისი პოპულარობის მიზეზი!

ფსიქ. მეცნ. კანდიდატი პროფ. ა. კრავჩენკო, ჟურნ. „მოი რებიონოკ“, №2

მოამზადა
მანანა იმესაშვილმა

საქართველოს პარლამენტის ეროვნული

დღეს ჩვენს დედაქალაქში გახსნილი უამრავი ფირმისა თუ ოფისის მყვირალა სახელწოდებების მიღმა, რომლებიც ათასგვარი რეკლამით ცდილობენ მომხმარებლის მიზიდვას, ხშირ შემთხვევაში სრული სიცარიელე იფარება. ამიტომ სასიამოვნოდ გაოცებული დავრჩით, როცა თავისუფლების მოედანზე მდებარე კოსმეტოლოგიის ბერლინის სასწავლო ცენტრში საქმიანი ატმოსფერო და კეთილგანწყობა დაგვხვდა.

სილამაზის მსახური

ცენტრის ხელმძღვანელი, საერთაშორისო კლასის ექიმი-კოსმეტოლოგი ქ-ნი მანონ ებრალიძე განათლებით ფილოლოგი გახლავთ და წლების მანძილზე დედაქალაქის საშუალო სკოლებსა და საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა. თითქოს აღარაფერი უნდა შეცვლილიყო მის მშვიდ და აწყობილ ცხოვრებაში, მაგრამ ექიმების ოჯახში აღზრდილს გულმა ბოლოს მედიცინისკენ გაუწია. რადგან შინაური წამლებისა და მალამოების დამზადება ბავშვობიდან ეხერხებოდა და თავადაც გამორჩეული გარეგნობის მქონე ქალბატონმა კარგად იცოდა სილამაზის ფასი, კოსმეტოლოგობა გადაწყვიტა. მალე მოსკოვში გაემგზავრა, კოსმეტოლოგია ცნობილ სპეციალისტებთან შეისწავლა და კოსმეტოლოგიის საერთაშორისო კურსებიც „კალიფორნია-მოსკოვი“ საერთაშორისო კლასის ექიმ-კოსმეტოლოგის კვალიფიკაციითა და უცხოეთის ნებისმიერ ქვეყანაში საკუთარი საქმის გახსნისა და პედაგოგიური მოღვაწეობის უფლებით დაამთავრა. მოსკოვის ცენტრში შესანიშნავი კაბინეტი ჰქონდა მოწყობილი და დიდი პოპულარობით სარგებლობდა იქაურ ცნობილ მანდილოსანთა შორის, რომელთაგან განსაკუთრებული სითბოთი დღეს ლიუდმილა გურჩენკოს მოიხსენიებს, დიდად რომ აფასებდა მის ნელსაცხებლებსა და მასაჟებს და ხშირადაც სტუმრობდა.

წარმატებულ საქმიანობას სამშობლოს მონატრებამ სძლია და თბილისში ქვეყნისათვის ურთულესი სოციალურ-პოლიტიკური ვითარების დროს ჩამოვიდა. გაჭირვებასა და სიძნელეებს არ შეუშინებია, პირიქით, გაათმაგებული ენერგიითა და დიდი ენთუზიაზმით შეუდგა მუშაობას, რათა მატერიალურ შეჭირვებაში მყოფი ქალბატონებისათვის თუნდაც მინიმალურ ფასად შეენარჩუნებინა სილამაზე.

ათი წლის განმავლობაში ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის „კარაბადინის“ სპარსულ თარგმანზე მუშაობამ ქ-ნ მანონს დიდი გამოცდილება შესძინა და ნატურალური მასალებით მუშაობის საშუალება მისცა. იგი თავად ამზადებს სხვადასხვა სახის ზეთს, შამპუნსა და ლოსიონს, ნიღბებისა და მასაჟების მეშვეობით აგვარებს სახისა და კანის ნებისმიერ პრობლემას მთელ სხეულზე, კურნავს ჭარბთმიანობას, კომპლექსურად მკურნალობს ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის ფუნქციის მოშლის შედეგად წარმოქმნილ პიგმენტურ ლაქებს და ვინ მოსთვლის, კიდევ რამდენ საოცრებას ახდენენ მისი ჯადოსნური ხელები!

ორიოდე წლის წინ მისი მოღვაწეობით გერმანული ფირმა „Fintech Consult GBR“ დაინტერესდა და თბილისში წარმომადგენლობა – კოსმეტოლოგიის ბერლინის სასწავლო ცენტრი გაუხსნა, აქ მოსწავლეები ექიმი-კოსმეტოლოგის, პარიკმახერ-სტილისტის, მასაჟისტის, პედიკიურ-მანიკიურის სპეციალობებს ეუფლებიან და საერთაშორისო კლასის დიპლომს იღებენ, რაც ნებისმიერ ქვეყანაში დასაქმების გარანტიას აძლევს მათ. გერმანელმა კოლეგებმა სპეციალური უახლესი აპარატურაც გამოუგზავნეს და ახლა ცენტრში მკერდის კორექცია და სახის გადაჭიმვა (მიოლიფტინგი) უოპერაციოდ ხდება, აქვე სახის სოლარიუმის მეშვეობით მშვენიერი ნარუჯის მიღებაც შეიძლება.

● მანონ ებრალიძე

არაჩვეულებრივად ხალასიანი და კეთილმოსურნე, საოცრად კაცთმოყვარე და იმედიანი, გადატანილი სიძნელეების მიუხედავად, არასოდეს ეცემა სულით, მუდამ მზადაა, ადამიანებს უშურველად გაუწოდოს დახმარების ხელი. მისი მრავალრიცხოვანი პაციენტებიც, მკურნალობის პარალელურად პირად პრობლემებსაც აგვარებენ მასთან.

„ყველა საქმე სიყვარულით უნდა აკეთო“, – მიაჩნია მშვენიერ ქალბატონს და ამ სიყვარულით აგერ, უკვე ოცი წელია ემსახურება სილამაზეს.

მანანა იმესაშვილი

ᲚᲐᲛᲐᲖᲘᲐ ᲝᲯᲐᲮᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ

„მე დიდად ვაფასებ, რომ ხელოვნება გიყვარს და გინდა მას ემსახურო, მაგრამ იცოდე, ჩემო ძვირფასო, უკულტურობა ახდენს მსახიობს. ჯერ სწავლა გინდა, განვითარება, ცარიელი ნიჭით ვერას გახდები, თუ შენ ამ ნიჭს არ ავარჯიშებ. იცოდე, შენზე მოპყრობილია მაყურებლის თვალი და გული“.

ᲑᲐᲑᲣᲚᲘᲐ ᲢᲐᲡᲝ (ᲢᲐᲡᲘᲐᲜᲘ ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲔ)
25 ᲗᲔᲗᲠᲕᲐᲚᲘ 1953 Წ.

● ᲪᲔᲙᲕᲐᲕᲡ ᲠᲣᲡᲣᲓᲐᲜ ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲔ

ასე დამთავრა ბებიამ შვილიშვილი დიდი ცხოვრების ასპარეზზე გამოსვლის წინ. მსახიობების ოჯახში დაბადებულმა ვასილ აბაშიძემ თავისი მოღვაწეობა ბალეტის სამყაროს დაუკავშირა. დღეს იგი და მეუღლე რუსუდანი ჭაბუკიანის ქორეოგრაფიის სკოლის გამგრძელებლებად გვევლინებიან და ბათუმში საბალეტო სასწავლებელს ხელმძღვანელობენ. წყვილი 25 წელი თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში წამყვან მოცეკვეებად გამოდიოდა. ახლა კი ისინი ბალეტის სამყაროში პედაგოგებად აგრძელებენ მოღვაწეობას.

დიდი სიყვარულის ისტორია კი ასე დაიწყო. უკვე გამოცდილებაშეძენილი და აღიარებული ვასილ აბაშიძის ყურადღება მიიქცია მე-2 კურსის სტუდენტმა რუსაკომ, რომელმაც სასწავლებელში ნათელ არობელიძის მაგივრად ვახტანგ ჭაბუკიანის დედმაში „ეიზელი“ სოლო პარტია იცეკვა, სადაც დამწყებ მოცეკვავეს პარტნიორობა ვასილ აბაშიძემ გაუწია. იმავე წელს სასწავლებლის სამი კურსდამთავრებული, მათ შორის, რუსაკოც, წარმატებულად შესრულებული პარტიისათვის, ოპერისა და ბალეტის თეატრმა მიიწვია, რასაც მოსკოვსა და პეტერბურგში გასტროლები მოჰყვა. თბილისში დაბრუნებისთანავე რუსაკოს და ვასილ აბაშიძის ქორწილმაც არ დააყოვნა, რომელზეც მთელი ბალეტის სამყარო შეიკრიბა. წყვილი წამყვან პარტიებს ცეკვავდა, მათი შემოქმედება და ოჯახი ძალიან უყვარდა ვახტანგ ჭაბუკიანს. გარიყული ქორეოგრაფის ცხოვრებას წყნეთში აბაშიძეების ოჯახის ვიზიტები აშშვენებდა. თავისი მოღვაწეობის მანძილზე წყვილმა ყველა საფეხური გაიარა საბალეტო სცენაზე და ერთხელ არჩეული პროფესიის ერთგული დარჩა. მათი რეპერტუარი მოითვლიდა საბალეტო სპექტაკლებს: „ეიზელი“, „გორდა“, „ბაიადერა“. „ბეჭდების ტბა“, „ლაურენსია“, „კარმენ სუიტა“, „პაკარა მავრა“ და სხვა. მეუღლეს ვასილის ყურადღება არასდროს აკლდა. „თუ ხელშეწყობა არა, ჩემს ოცნებას ვერასოდეს განვახორციელებდი“ – აღნიშნავდა საუბარში რუსუდანი. 40 დღის ბავშვი, თამრიკო მამას თეატრში კვებისთვის მიჰყავდა, როდესაც რეპეტიციებსა და წარმოდგენას შორის შესვენებებისას რუსუდანი იცლიდა. აბაშიძეებს ახლა ორი ქალიშვილი და ოთხი შვილიშვილი ამშვენებენ. რუსაკოს გადმოცემით, სცენიდან წასვლის შემდეგ პედაგოგიური კარიერა მეუღლის ხელშეწყობით გააგრძელა.

● რუსუდან და ვასილ აბაშიძეები

● დედა-შვილი რუსაკო და ნინო აბაშიძეები

1996 წლის 23 ნოემბერს, (გიორგობადღეს), ბათუმის ხელოვნების ინსტიტუტში ქალბატონ რუსუდანის მოსწავლეები ვ. ჭაბუკიანის სახ. ქორეოგრაფიული სასწავლებლის კურსდამთავრებულები დაამტიკეს. იმავე დღეს წინადადება მიიღეს ბათუმში მოსწავლეები მოემზადებინათ. აბაშიძეებისათვის ეს იმდენად მოულოდნელი წინადადება იყო, რომ თავიდან ვერ უპასუხეს. თბილისიდან გადმოსვლა უჭირდათ, ამიტომ ბათუმელ მოსწავლეებთან ხელოვნების ინსტიტუტში მოქმედ ვ. ჭაბუკიანის სახ. სტუდიაში პერიოდულად ჩამოდიოდნენ გაკვეთილების ჩასატარებლად. ატყობდნენ კიდეც, რომ ამგვარი მიდგომით საქმე ფუჭდებოდა. საჭირო იყო მოსწავლეებთან უწყვეტი მუშაობის ორგანიზება.

1997 წელს ბათუმის სახელმწიფო კლასიკური სკოლა-სასწავლებლის პირველი სპექტაკლი, ერთაქტიანი ბალეტი „მაკნატუნა“ დაიდგა. სპექტაკლმა დიდი წარმატება მოიპოვა.

ასე შეიქმნა თბილისის შემდეგ ბათუმში მეორე საბალეტო სასწავლებელი. რუსუდან და ვასილ აბაშიძეების ხელმძღვანელობით დაიდგა „თეორი ბალეტი“, „შოპენიანა“, „პა-დე-კატრი“, მერე კი ბათუმის ოპერისა და ბალეტის თეატრში გეზო ჟორდანიას რეჟისორობითა და აბაშიძეების ქორეოგრაფიით განხორციელდა „პრინცესა ტურანდოტი“ საბავშვო დასის მონაწილეობით. მას დიდი წარმატება და აღიარება ხვდა წილად. ამ რეპერტუარით ბათუმის ბალეტისა და ოპერის თეატრი ორჯერ გავიდა გასტროლებზე თბილისში, მოსკოვსა და იტალიაში.

ბათუმის სახელმწიფო კლასიკური სკოლა-სასწავლებელი პედაგოგებს თბილისიდან იწვევენ. აქვე მოწვეული პედაგოგების სტატუსით მოღვაწეობს აბაშიძეების ორივე ქალიშვილი – ნინო, რომელიც მოსწავლეებს სახასიათო ცეკვას ასწავლის, და თამარი, რომელსაც ეთიკა-ესთეტიკის, თეატრალური ისტორიის, ბალეტისა და სახვითი ხელოვნების დისციპლინები მიჰყავს. სწორედ ბათუმში დადგა ნინო აბაშიძემ სახასიათო ნომრები ფრენკ სინატრას მუსიკაზე „ნიუ-იორკი“ და „ჩეინი ვგა“. ქალბატონ რუსუდანის გადმოცემით, ბალეტის სასწავლებლის ხელმძღვანელები ყოველთვის გრძნობენ მხარდაჭერას და თანადგომას, რომლის წყალობით წარმოდგენების გამართვა ქორეოგრაფიული სასწავლებლის პროგრამით მომზადებულ კურსდამთავრებულებს ახლა უკვე საკუთარ სცენაზე შეეძლებათ. ჩვენი შეხვედრისას 500 მაყურებელზე გათვლილი სცენა რემონტდებოდა. ამით 2004 წელს სასწავლებლის პირველ გამოშვებას საკუთარ სცენაზე პროფესიული კარიერის გაგრძელების საშუალება ეძლევა. ასე რომ, ყოველ წელს ახალი საბალეტო დადგმებით განებივრებული ბათუმელები და საკურორტო მხარის სტუმრები სულ ახალ-ახალ წარმოდგენებს და საინტერესო დადგმებს მომავალშიც მრავლად იხილავენ. სასწავლებელთან და სცენასთან პატარა ფართიც გამოიყო, რათა მოწვეულ ბალეტის ოსტატებს უმასპინძლონ. აბაშიძეების ლამაზი ოჯახის ცხოვრებამ თავისი ნათელი დაგვირგვინება აჭარაში საბალეტო კულტურის განვითარებით ჰპოვა. ეს ხომ სულ სხვა საშაროა, რომელსაც ადამიანმა შეიძლება მთელი ცხოვრება შესწიროო. მაგრამ მასთან დროებითი შეხებაც გცვლის. გავიხსენები ერთ დეტალს: მოსწავლის მისალმებას მასწავლებლის დანახვაზე. ეს ხომ მთელი რიტუალია!

ᲗᲐᲛᲐᲠ ᲜᲘᲜᲘᲫᲔ

ქაჩთული კოჩტის მუშვენება

ლეილა მესხის სახელი მჭიდროდ უკავშირდება ქართული ჩოგბურთის განვითარებას. კორტზე ვარჯიში მას, იმ დროისთვის მისაღები ასაკიდან, 8 წლიდან დაუწყია, თუმცა მალევე მიუღწევია აღიარებისთვის. 13-14 წლის გოგონას სერიოზულ წარმატებებს საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ტიტულის მოპოვება მოსდევს. აქედან მოყოლებული პერსპექტიული ჩოგბურთელისადმი ინტერესი არ ცხრება. „ჩემზე ლაპარაკობენ, ინტერვიუებს მართმევენ, ჩემი აზრი მნიშვნელოვანია, ფაქტორად მაშინ ვიგრძენი და თვალნათლივ დავინახე ჩემდამი დამოკიდებულება როგორ შეიცვალა. ამ სფეროში უკვე რაღაცას წარმოვადგენდი და საქმეც უფრო მეტად შევიყვარე," – აღნიშნავს „ლეილა მესხის აკადემიის" ფუძემდებელი. მაგრამ ეს დიდი შრომის ფასად მოპოვებული წარმატება იყო. ჩოგბურთელი ქალბატონისთვის ყველაზე დიდ ჯილდოს 1992 წლის ბარსელონას ოლიმპიურ თამაშებზე მოპოვებული ბრინჯაოს მედალი წარმოადგენს. თუმცა მის აქტივში მრავლადაა პირველობისთვის მიღებული ჯილდო, გამარჯვებული ტურნირი ცნობილ ჩოგბურთელებთან, როგორებიც არიან მარტინა ნავროტლოვა, გაბრიელა საბატინი, კატარინა მალეევა და სხვები. თითოეული წარმატება ხომ ცალკე ისტორიაა.

საერთაშორისო რეიტინგით 25-ეს, ლეილა მესხს დიდი ჩოგბურთიდან ტრამვის გამო ადრე წამოსვლა მოუწია. მაშინ, საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის პირველ წლებში, საუთარი საქმის გაკეთების შანსი მიეცა, რადგანაც სპორტსმენი იყო და ჩოგბურთელი, თან სახლში ჯდომას მიუჩვეველი ადამიანი, არჩევანის გაკეთება არ გაძნელებია. ჩოგბურთის სკოლის გახსნამ დიდი სპორტიდან წამოსვლის ტკივილი შუმსუბუქა. „ლეილა მესხის აკადემიას" ფუნქციონირება რთულ პერიოდში მოუწია. „იმ დროს ვდგამდით პირველ ნაბიჯებს და ვშენდებოდით, როცა ქვეყანა ინგრეოდა. ასეთ ვითარებაში სერიოზულ წარმატებაზე საუბარიც ზედმეტია" – აღნიშნავს ქალბატონი ლეილა. არადა, ასპარეზზე ახალგაზრდა, პერსპექტიული ჩოგბურთელები გამოდან. პარალელურად სხვა კლუბებიც იხსნება და ფუნქციონირებას იწყებს. ლეილა მესხის აზრით, მთავარი დაბრკოლება ისაა, რომ არ არსებობს ბავშვების მომზადებისათვის აუცილებელი თანხები. აღნიშნული სპორტის სახეობა ხომ ძვირადღირებულთა რიცხვს განეკუთვნება. შესაბამისად, ქართული ჩოგბურთის განვითარება ბევრ სირთულეებთანაა დაკავშირებული, მაგრამ სიძნელეების მიუხედავად უნდა ვაღიაროთ, რომ პერსპექტიული მოთამაშეებიც გვყავს: მომავალ ოლიმპიურ თამაშებზე საქართველოს სახელს დაიცავს საერთაშორისო რეიტინგით 74-ე ირაკლი ლაბაძე. ჩოგბურთის ქალთა გუნდში მოიპოვება ძლიერი ახალგაზრდობა. მათ შორისაა, აკადემიის ფავორიტი – თინათინ ყაჯაშვილი, რომლის წვრთნის და ტურნირებში მონაწილეობის ხარჯს ჩოგბურთის სკოლა მთლიანად უზრუნველყოფს. იუნიორებს შორის ევროპის ჩემპიონ თინათინს ახლა 17 წელი შეუსრულდა და იგი დიდ ჩოგბურთში პირველ ნაბიჯებს დგამს. რა თქმა უნდა, აკადემია ფასიანი სასწავლო დაწესებულებაა, მაგრამ აქ პერსპექტიულ ბავშვებს შეძლებისდაგვარად ეხმარებიან, ლტოლვილებს კორტებით უფასოდ სარგებლობის საშუალება ეძლევათ. უკანასკნელი 7 წელია, რაც სპეციალური ოლიმპიური კომიტეტის ოფისიც ფუნქციონირებს და სპორტში უნარშეზღუდული ბავშვების ჩართვას უზრუნველყოფს. მათ შორის ჩოგბურთის საკუთარი ჩემპიონებიც გვყოლია.

საყურადღებოა, რომ თანამედროვე სპორტში გაახალგაზრდავების ტენდენცია შეინიშნება, ეს არც აკადემიის ფუძემდებლებს გამორჩათ. აქ ბავშვი 5-6 წლიდან შეგიძლიათ ატაროთ. ლეილა მესხის ქალ-ვაჟი – 5 წლის გიორგი და 7 წლის ლიზა უკვე ვარჯიშობენ. აკადემიის რამდენიმე მწვრთნელი სწორედ ადრეული ასაკის ბავშვების მომზადებას უძღვება. ამ ასაკიდან პატარა უკვე უნდა შეეჩვიოს ბურთთან უთიერთობას და სირბილს. თანამედროვე ბავშვებისთვის, რომლებიც ეზოში თამაშს ტელევიზორთან და კომპიუტერთან ჯდომას ამჯობინებენ, ფიზიკური ვარჯიშის კულტურის ჩამოყალიბება განსაკუთრებულად საჭიროა.

დღეს ლეილა მესხის სახელს კიდევ ერთი წამოწყება უკავშირდება. კერძოდ, დიღომში საერთაშორისო სტანდარტების სპორტული კომპლექსის მშენებლობა. ამ საქმეში კერძო ინვესტიციები და საბანკო კრედიტები მოიხიდა. მშენებლობის ერთ-ერთი ინიციატორის, ლეილა მესხის ვარაუდით ყველა სარემონტო სამუშაო სექტემბრამდე უნდა დასრულდეს და წელსვე სერიოზული ტურნირების ჩატარებაა დაგეგმილი. მათ შორის ქალთა საერთაშორისო ჩოგბურთის ტურნირის, ლუკოილის თასზე ჩოგბურთის ტურნირისა და შესაძლოა, თუ მოლაპარაკებები წარმატებით წარიმართა, დევისის თასის ერთ-ერთი ტურნირისაც. აბბიციები დიდია, რადგან მისი ფუძემდებლების ჩანაფიქრით ახალი კომპლექსი ამერკავკასიაში სერიოზულ სპორტულ ცენტრად უნდა ვაქციოთ, – თვლის ქალბატონი ლეილა. რევოლუციის შემდგომი ხელისუფლების მხარდაჭერაზე კი მეტყველებს პირველივე სამუშაო დღეს კულტურისა და სპორტის მინისტრის გიორგი გაბაშვილის ვიზიტი მშენებარე კომპლექსში. ქართულ სპორტში ინვესტიციების მოსაზიდად სახელმწიფო მხარდაჭერა ნამდვილად აუცილებელია, როგორც საკუთარი საქმის პატრონი, ლეილა მესხი აკადემიის 10 წლის ფუნქციონირების მანძილზე დიდ გამოცდილებას ფლობს. იგი თვლის, რომ ჩოგბურთის განვითარებას სახელმწიფო მხარდაჭერა, შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის დაწესება და ქველმოქმედების შესახებ კანონის მიღება უსწრაფესად სჭირდება . სპორტი ხომ ბიზნესის გარდა ერის გაჯანსაღების უმნიშვნელოვანეს ფუნქციასაც შეასრულებს. ლეილა მესხსაც სჯერა, რომ ახალი თაობობა ახალ იმედებს გაამართლებს, რაც ტურნირებზე ქართული ჩოგბურთის გამარჯვებაში დაგვეხმარება.

თამარ ნინიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელად „ვარდი“



● კრისტი ჰიუმი

ინგლისში ვარდი ნაციონალური სიმბოლოა. ის ბრიტანეთის გერბსაც ამშვენებს.

„ინგლისური ვარდი“ შტამპადაა გადაქცეული. ასე არქმევენ სასტუმროებს, სუპერმარკეტებს, ავტომობილების გამქირავებელ ბიუროებს, ავეჯის მაღაზიებს.

ინგლისელ ქალებსაც ხშირად ნათლავენ ვარდის სახელით. ინტერნეტში ათობით საიტია „ინგლისის ვარდის“, უელსის პრინცესას ხსოვნისადმი მიძღვნილი.

„მშვიდობით ინგლისის ვარდო“ – მღეროდა ელტონ ჯონი, ის თეთრი ვარდი იყო...

ისტორიიდან ცნობილია, რომ ბრიტანეთში მხოლოდ ალისფერი და თეთრი „ვარდები“ ყვავის: თეთრი ვარდთ არისტოკრატი სტელლა ტენანტი, დახვეწილი კრისტინ სკოტ ტომასი და ასევე ბრედ ეშლი ჰემინგუეის „ფილესტიდან“.

ქალის სილამაზეზე წარმოდგენა 60-იან წლებში მკვეთრად შეიცვალა. ლონდონი – ახალგაზრდობის ქალაქია, – გამოაცხადა ბრიტანულმა ჟურნალმა „ვოგმა“. 1964 წლის იდეალად „მოუქნელი მოზარდი“ აღიარეს, რომელიც აქეთ-იქით მიაქნევდა გამხდარ თეძოებს. ასე გამოჩნდა სახელგანთქმული ტვიგგი და პანიკაში ჩააგდო მანდილოსნები, რომლებიც 50 კგ-ზე მეტს იწონიდნენ. წამხედურა ქალბატონებმა წონის დაკლებაზე დაიწყეს ზრუნვა, ხოლო 15 წლის შეშინებული ბავშვი სთვალება გოგონა მსოფლიოს ყველა ჟურნალის ყდაზე იწონებდა თავს.

30 წლის შემდეგ კიდევ ერთმა ინგლისელმა გოგონამ მოახდინა ნამდვილი რევოლუცია სამოდელო ბიზნესში. 1992 წლის კელვინ კლაინის სახე ქეით მოსი გახდა.

80-იანი წლების მკერდსავსე ლამაზმანების შემდეგ, ის ზედმეტად გალეული, ღაწვმაღალი, შორი-შორ ჩამჯდარი მწვანე თვალებითა და კბილებსშუა ღარით, – ზოგისთვის მახინჯი იყო, ზოგისთვის – ახალი მოდის ლოლიტა!

ქეით მოსი ფოტოგრაფ მასიო ტესტინოს და მოდელიერ კელვინ კლაინის საყვარელი მოდელი გახდა. ლეგენდარული ტვიგგის შემდეგ არ მოიძებნებოდა სხვა ინგლისელი (პრინცესა დიანას გარდა), რომლისადმი ინტერესი 10 წლის მანძილზე არ განელებულა.

ახლა მას წლები მოემატა, დამრგვალდა და ავანგარდული მოდიდან სუპერმოდელების „დიდ ექვსეულს“ შეუერთდა, სადაც ასევე თეთრ და ალისფერ „თაიგულში“ ინგლისელი ერთადერთი შავი ვარდი ნაომი კემპბელი იმეფებს.

ბოლო დროს ქეითს უსიამოვნებები ჰქონდა. იგი ჯონი დეპს დაშორდა და დეპრესიის ჩახშობას ალკოჰოლითა და ნარკოტიკებით ცდილობდა. მას საავადმყოფოში დაწოლა მოუხდა რეაბილიტაციის სრული კურსის ჩასატარებლად.

– ერთ მშვენიერ დღეს პარიზში მქონდა გადაღებები. სააგენტოში დარეკეს და კუთხარი, აღარ მინდა მუშაობა. შემძულდა ეიფელის კოშკის ფონზე გადაღება და საერთოდ, ფოტომოდელობა. როდესაც ასეთი უმიზეზო სიავე გახრჩობს და მთელ ქვეყანაზე ხარ გაბრაზებული, უმჯობესია ხალხს მოერიდო და მეც განვმარტოვდი. ერთი სიტყვით, ჩემს ჯა-



● ლიზა რატლიფი

● ქეით მოსი

● ჟორჟინა კუპერი ● ნაომი კემპბელი

● ჯეინ ბრედბერი

ნმრთელობაზე დავიწყე ზრუნვა, ამასთან, წუთითაც არ მიფიქრია სამოდელო ბიზნესიდან წასვლა. უბრალოდ, დასვენება და მკურნალობა მჭირდებოდა. წლების განმავლობაში ხომ სულ იმას ჩამჩიჩინებდნენ, რომ ჩემი რანგის მოდელისთვის დაღლილობა ყველაზე მძიმე ცოდვაა, მაგრამ თავს მაინც დავრთე ამის ნება და სულაც არ ვნანობ, – ამბობს ქეით მოსი.

ინგლისელ „ვარდებს" შორის ნამდვილი არისტოკრატებიც არიან: ჰერცოგის შვილიშვილი სტელა ტენნანტი, ლორდის ქალიშვილი – ონორ ფრეიზერი.

ბრიტანელი მოდელები თვლიან, რომ საკუთარ გარეგნობაზე ზედმეტი ზრუნვა მოდაში აღარ არის. მაგალითად, ჯორჯინა კუპერი სულ ჯინსებსა და ბოტასებშია გამოწყობილი, კოსმეტიკას საერთოდ არ ხმარობს. სამაგიეროდ, „გორგოლაჭებზე" გიჟდება და რამდენიმე ტრავმაც მიიღო. ერთხელ მან უარი თქვა მილანში გამართულ ჩვენებაზე. სანაცვლოდ, მშობლიურ შოტლანდიაში გაემგზავრა თავისი დის ზოომაღაზიის გახსნაზე.

„ვარდებს" შორის ყველაზე ულალთმიანი კარენ ელსონი გაპარსული წარბებით, ცეცხლოვანი წითელი კარეთი და თეთრი კანით შორიდანვე იპყრობს ყურადღებას. ვარლ ლაფგერფლდის აზრით მასში ერთდროულად არის რაღაცა – შუასაუკუნეებისაც და უცხოპლანეტელისაც.

მისმა მეგობარმა ერონ ო, კონორმა სტელა ტენნანტი შეცვალა და „შანელის" სახე გახდა. ეს ინგლისელი მოდელი კეხიანი ცხვირით ახლა მოდაშია. ლამაზი არაა, მაგრამ თავისი შარმი აქვს.

ყველაზე ახალგაზრდა „ვარდი" სარა დეიკინია, რომელსაც ფოტოგრაფმა „ახალი ტვიგგი" შეარქვა, სინაზისა და „შეშინებული ბავშვის" თვალების გამო. მას დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ, ისევე, როგორც ლიზა რატლიფს. ის 19 წლისაა, ყველა წამყვან ჟურნალში გადაიღეს და მრავალი კომპანიის სახე გახდა.

ეს ოდნავ ეკლიანი ინგლისელი „ვარდები" ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისგან. თითოეულ მათგანს საკუთარი თავის რწმენა და არასტანდარტული სახის ნაკვთები აქვს. გოგონები მსოფლიოში ყველაზე ფერმკრთალი და იდუმალი თვალების პატრონები არიან. ისინი არტისტულობითა და პლასტიკურობით გამოირჩევიან, ამიტომ შეუძლიათ ყველა სტილს მოერგონ, რაც ფოტოგრაფებისთვის ნამდვილი განძია.

მოამზადა ეკა ჩიქოვანმა

ლამაზად რომ გამოვიყურებოდეთ

გაზაფხული დგება და ყველა ქალს სურს მიმზიდველი იყოს. ამისათვის კი მონდომება და სულ ცოტაოდენი გარჯა მაინც არის საჭირო.

გთავაზობთ ქ-ნ **მანონ ებრალიძის** რამდენიმე რჩევას:

ნიღაბი ლაქებისა და ჭორფლის გასაუფერულებლად

აიღეთ თანაბარი რაოდენობით (თითო სუფრის კოვზი) პირშუშხასა და ლიმონის წვენი და არაჟანი კარგად აურიეთ, დაიდეთ სახეზე 20-25 წუთის განმავლობაში, ჩამოიბანეთ და წაისვით მკვებავი კრემი. თუ კრემი არ გაქვთ, შეგიძლიათ იგი შემთბარი მცენარეული ზეთით შეცვალოთ. პროცედურა მეორდება ყოველ საღამოს 15-20 დღის განმავლობაში.

ნიღაბი ნორმალური და ნაზი კანისათვის

ერთი კვერცხის გული, ერთი სუფრის კოვზი გლიცერინი (შეიძლება სიმინდის ან ზეითუნის ზეთი) და ერთი სუფრის კოვზი თაფლი კარგად აურიეთ და მოათავსეთ ქილაში. დაიდეთ სახეზე კვირაში ერთხელ ან ორჯერ 20-25 წუთით. შემდგომ ჩამოიბანეთ და წაისვით მკვებავი კრემი.

ძალიან სასარგებლოა სახის ოხრახუშის ფვენით გაფშვნდაც.

გაზაფხულზე ენერგიის აღსადგენად დღეში სამჯერ დესერტის კოვზით ნიახურის წვენი მიიღეთ (ათი დღის განმავლობაში მაინც).

ხშირად მიირთვით გოგრა – იგი შესანიშნავად წმენდს ორგანიზმს. ამავე მიზნით ძალიან კარგია უმბოზე ორი ცალი გახეხილი ვაშლის მიღება, მაგრამ შემდგომ უნდა ეცადოთ, სამი საათის განმავლობაში არაფერი ჭამოთ.

დიეტა ჭარბწონიანებისთვის

(6 დღეში 6 კილოგრამს დაიკლებთ)

პირველი დღე

3 ცალი მოხარშული კარტოფილი, 3 ჭიქა უშაქრო ჩაი.

მეორე დღე

ვაშლი, რამდენის მირთმევასაც შეძლებთ და 3 ჭიქა უშაქრო ჩაი.

მესამე დღე

300 გრამი მოხარშული მჭლე ხორცი და 3 ჭიქა უშაქრო ჩაი.

მეოთხე დღე

2 ქილა მაწონი და მინერალური წყალი, რამდენის მიღებასაც შეძლებთ.

მეხუთე დღე

ციტრუსი – 1 კილოგრამი გრეიფრუტი ან ვაშინგტონ – რენეტი და 3 ჭიქა უშაქრო ჩაი.

მეექვსე დღე

3 ცალი მოხარშული კარტოფილი და 3 ჭიქა უშაქრო ჩაი.

დიეტის დამთავრების შემდეგ მიირთვით ბოსტნეულის სალათები ზეითუნის ან სიმინდის ზეთით. თუ დაბალწნევიანი ბრძანდებით, ნურც ცოტაოდენ შავ ღვინოზე იტყვეთ უარს.

გისურვებთ წარმატებას!

თაყვანისმცემელთა გულების მომნუსხველები...

კინო

როდესაც ქალიშვილი შეეძინა, სახელგანთქმული რეჟისორი ფრენსის ფორდ კოპოლა თავისი ლეგენდარული ტრილოგიის პირველ ნაწილს იღებდა. სწორედ „ნათლიმამას“ პირველ ფილმში შეასრულა თავისი პირველი როლი, ბავშვის ნათლობის ცნობილ სცენაში, ახალშობილმა სოფიამ. მას შემდეგ, როგორც მსახიობი, სოფია კოპოლა „ნათლიმამას“ მეორე და მესამე ფილმშიც მონაწილეობდა. მაგრამ შემდგომში მან მსახიობის კარიერის გაგრძელებაზე უარი თქვა. ამ გადაწყვეტილებას რეჟისორის ქალიშვილი იმით ხსნიდა, რომ სხვისი დიქტატისადმი დამორჩილება უჭირდა.

საკუთარი ფილმების გადაღებამდე სოფია კოპოლამ კი მრავალი პროფესია შეიცვალა. იგი დიზაინერობას ცდილობდა (სტაჟირება კარლა ლეგფორდთან გაუკლია და საკუთარი სახელით ტანსაცმლის კოლექციაც გამოუშვია); შემდეგ ხელი სცენარების წერაში გაივარჯიშა; კლიპმეიკერობასა და პოპ-ჟურნალის რედაქტორობაშიც გამოსცადა თავი, მაგრამ ერთხელ კინოს იდუმალებით მონუსხულს, სხვა ხვედრი არც შეიძლებოდა წვეოდა.

მისი პირველი ნამუშევარი კინოში მოკლემეტრაჟიანი სურათი Bed, Bath and Beyond იყო. შემდეგ შავთეთრი კომედია „აჯობო ვარსკვლავს“ გადაიღო. ახლა მის აქტივში კიდევ ორი მცირებიუჯეტიანი, მაგრამ წარმატებული ფილმია – „ქალიშვილები – თვითმკვლელები“ (2000 წ.) და „თარგმანის სირთულეები“ (2003 წ.). აღსანიშნავია, რომ მამა-შვილის რეჟისორული სტილი მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისგან. ამას დიდი კრიტიკოსობა არ სჭირდება, საკმარისია მათ მიერ გადაღებული რომელიმე ფილმი გქონდეს ნანახი. წლების შემდეგ სოფია კოპოლა იუმორით იხსენებს, თუ როგორ ასწავლიდა მამა გადაღების მოედანზე ქცევის წესს: „შენ ჟღერადი ხმით, რომელიც დიაფრაგმიდან ამოდის, უნდა გასცე ბრძანება – მოტორი!“ ხოლო ქალიშვილი თავისთვის ფიქრობდა: „კარგი, კარგი, გადასაღებ პავილიონს დატოვებ და მე ისე ვისაუბრებ, როგორც მსურს“.

კოპოლას კლასში რეჟისორი ქალიშვილის მიერ გადაღებული მხატვრული ფილმის „თარგმანის სირთულეების“ ოსკარზე წარდგენა მოვლენად იქცა. ახლობლები მილოცვის სადღეგრძელოს მისი სახელობის შამპანურით Sofia Blanc de blanc შევსებული ფუჟერებით სვამდნენ. ეს სასმელი ფრენსის ფორდ კოპოლამ საკუთარ ვენახში, კალიფორნიის სამხრეთით მდებარე ნაპას ღვინით განთქმულ მხარეში დაწურა. აქვე მოწყობილ ლეგენდარული რეჟისორის კინორელიკვიების მუზეუმს კი მემკვიდრემ ახალი ნივთები შემატა, როგორც ამბობენ, შამპანური Sofia Blanc de blanc რომანტიულ და ამავდროულად ბობოქარი ხასიათის სასმელს წარმოადგენს.

მუსიკა

პოპ-მომღერლის, მადონას შემოქმედებაში სექსი ძირითად ინტრიგად იქცა. პოპულარობის მოსახვეჭად მომღერალმა ქალმა ამერიკული საზოგადოების ყველაზე სანუკვარი ფასეულობა, თუ უფრო დავკონკრეტდებით, მორალი და ზნეობის ნორმების შებღალა. იგი სცენიდან სექსზე მღეროდა და თავის სიტყვებს საქმით ამყარებდა, როდესაც ეროტიკულ ტანსაცმლით იმოსებოდა და სექს-შოპიდან ნაყიდი აქსესუარებით შეიარაღებული გამოდიოდა მაყურებლის წინაშე. მისი კლიპები ასევე გამოირჩევა ეროტიკული სცენებით. ამას მოსდევდა ჭორები პირად ცხოვრებაზე, თითქოსდა, მადონას სახლში ორგიები იმართებოდა. თუმცა, მომღერალს ერთი აუხდენელი ოცნება დარჩა, ჰოლივუდის დაპყრობა... მართალია, მას მცდელობა არ დაუკლია, მაგრამ იგი წარუმატებელი იყო. მადონას სამსახიობო კარიერიდან ყველაზე სახასიათო როლად რჩება ევიტა პერონის კინოგმირი, რომელთან მომღერალს განვლილი ცხოვრებისეული გზა – სულ ყველაზე დაბალი საფეხურიდან პოპულარობის მწვერვალამდე სკანდალური სვლა აკავშირებდა. ამ დროს იგი ცოლად გაჰყვა გაი რიჩს, რითაც პირადი კინორეჟისორის შეძენის ამბიცია დაიმაყოფილა, თუმცა, ამ კავშირს გადასაღებ მოედანთან არაფერი ჰქონდა საერთო. მადონა თაყვანისმცემელთა შენარჩუნების მიზნით დროდადრო ცხოვრებისეულ ორიენტაციასაც მეტად ორიგინალური ხერხით იცვლიდა. სკანდალურად განთქმულმა იტალიური წარმოშობის მომღერალმა ქალბატონმა ათეისტური ორიენტაცია კაბალის საიდუმლო სწავლების შემეცნებით შეიცვალა. ხოლო შემდეგ თავისი გატაცება ინდუისტური რელიგიისა და იოგის ათვისებით გაამრავალფეროვნა. ეს ცვლილებები მადონას ვიზუალურ იმიჯზეც აისახა. მყვირალა გარდერობი და კოსმეტიკის გამოყენებაში ზედმეტობები ფილოსოფიურმა ზომიერებამ შეცვალა. ახალ სამსხვერპლოზე მადონამ ჯენტლმენებისთვის ასე საყვარელი თმის ფერი – ქერაც შეცვალა, ჯერ შავად, შემდეგ – წაბლისფრად. მისი უბრალოებით გამორჩეული ვარცხნილობა კი უფრო ხიპის სტილს მიუახლოვდა, რამეთუ „ყვავილების შვილებიც“ შთაგონებას აღმოსავლურ ფილოსოფიაში ჰპოვებდნენ. ძველი საიდუმლოებების მქადაგებლის იმიჯის გასამყარებლად, ეთნიკური ტანის მოხატვით შეიმკო სხეული. მის ხელებს ამშვენებდა ხნის საღებავით შესრულებული ორნამენტები და შუბლს – ინდუიზმის სიმბოლოკა. მედიმ, როგორც თაყვანისმცემლები სიყვარულით უმახიან, აგრესიული სექსუალურობის პროპაგანდა ყოვლისმომცველი სიყვარულის ქადაგებით შეცვალა.

მეორე შვილის შეძენის შემდეგ გაი რიჩთან ოჯახში მადონა ახლა დედობის რელიგიას ქადაგებს. მომღერალმა ქალბატონმა დედობის ინსტინქტი უცერად ყველა ბავშვის მიმართ გამძაფრებულად შეიგრძნო. ყოველივემ შემოქმედებითი გამოვლინება მისი საბავშვო სერიის წიგნების გამოცემაში ჰპოვა. სხვათა შორის, ამ ციკლის ორი ზღაპარი ქართულადაცაა ნათარგმნი და დედაქალაქის წიგნების მაღაზიებში შეგიძლიათ თქვენს პატარასაც შეუძინოთ.

კულინარია

საგაზაფხულო კერძები

როგორც ცნობილია, ადამიანის ორგანიზმი ვიტამინების ნაკლებობას ყველაზე მეტად გაზაფხულზე განიცდის. ამიტომ, ამ პერიოდში სასურველია მიირთვათ ისეთი საკვები, რომელიც შეიცავს ვიტამინების უხვ რაოდენობას. ეცადეთ თქვენს ყოველდღიურ სუფრას „ამშვენებდეს“ მწვანილის ნაირსახეობა, ბოსტნეულის სალათები და საგაზაფხულო წვნიანი კერძები. შეგახსენებთ რამოდენიმეს:

კომპოსტოს სალათი

მასალა: კომბოსტო 300 გრამი, სტაფილო 200 გრამი, თითო კონა ახალი (ქორფა) ხახვი, კამა, ტარხუნა, ორი სუფრის კოვზი ძმარი, 1 ლიმონი, 3 სუფრის კოვზი ზეთი.

დაჭერით კომბოსტო ძალიან წვრილად, მოგრძო ფორმით (ასანთის ღერის მსგავსად) ან დახეხეთ მსხვილ სახეხზე, მოათავსეთ თასში და დაასხით ქაფქაფა წყალი. 1-2 წუთის შემდეგ გადაწურეთ, კარგად დაწრიტეთ და შეურიეთ წვრილად დაჭრილი ხახვი, კამა და ტარხუნა. უკანასკნელ მარილი გემოვნებით და შეაზავეთ ძმრით, ლიმონის წვენით და 3 სუფრის კოვზი ზეთით, ბოლოს შეურიეთ მსხვილ სახეხზე დახეხილი სტაფილო.

სტაფილოს სალათი

მასალა: 400 გრამი სტაფილო, 3 სუფრის კოვზი ბრინჯი, 1 ბროწეული, 1 კონა კამა, 1 კონა ქინძი, 3 სუფრის კოვზი ზეთი. ზომიერად მოხარშულ (და არა გადახარშულ) ბრინჯს გადავლეთ ცივი წყალი, კარგად დაწრიტეთ და შეურიეთ მსხვილ სახეხზე დახეხილი სტაფილო (სტაფილო იხეხება შიდა გულის გარეშე). შეაზავეთ მცირეოდენი მარილით, ზეთით, მწვანილით.

ნაჭო სალათის ფოთლებში

მასალა: 300 გრამი მშრალი, გლეხური ნაჭო, 1 კონა ახალი, ქორფა ხახვი, თითო კონა ტარხუნა, კამა, ქინძი, 2 კონა სალათი.

წვრილად დაჭრილი მწვანილი შეურიეთ ნაჭოს, შეაზავეთ მარილით, დაყავით პატარა გუნდებად, ტოლმისებურად გაახვიეთ სალათის ფოთლებში და დააწყვეთ შესაფერის ლანგარზე. ზემოდან ყოველი „ტოლმა“ მორთეთ არაჟნით.

ჭაჭიჩის სალათი

3 საშუალო ზომის მოხარშული ჭარხალი დახეხეთ მსხვილ სახეხზე ან დაჭერით ძალიან წვრილად (ასანთის ღეროს მსგავსად). შეაზავეთ მარილით და შეურიეთ მსხვილ სახეხზე (გულის გარეშე) დახეხილი 300 გრამი უმი სტაფილო და თითო კონა წვრილად დაჭრილი ქინძი და კამა. შეაზავეთ ძმრით და ზეთით. თქვენი გემოვნების მიხედვით.

ყვავილოვანი კომპოსტოს წვნიანი

მასალა: ერთი კილო ყვავილოვანი კომბოსტო, ერთი მოზრდილი სტაფილო, 200 გრამი ხახვი, თითო კონა ნიახური, კამა, ოხრახუში, ერთი კონა ტარხუნა და – 100 გრამი ზეთი, პილპილი ან აჯიკა თქვენი სურვილის მიხედვით.

კომბოსტოს მხოლოდ ღეროები, ნიახური და ოხრახუში წამოადუღეთ 10-12 წუთი ლიტრანახევარ წყალში, შემდეგ გადაწურული, სუფთა წვენი დაასხით ცხიმში მოშუშულ ხახვს, ჩაყარეთ შიგ ზომიერად დაჭრილი კომბოსტოს ყვავილოვანი ნაწილი, ადუღეთ 10-12 წუთი და ცეცხლიდან გადმოდგმისთანავე ჩაასატეთ მსხვილ სახეხზე დახეხილი სტაფილო, წვრილად დაჭრილი კამა და ტარხუნა. შეაზავეთ მარილით.

მიირთვით მაწვნით ან არაჟნით.

ჭინჭრის წვნიანი

ახალბედა დიასახლისებს იქნებ არ გეჭაშნიკოთ ჭინჭრის წვნიანი, ანუ როგორც ცნობილია, ჭინჭრის შეჭამადი, მაგრამ იცოდეთ, ეს კერძი ძალიან სასარგებლო და სასიამოვნო საჭმელია. მოამზადეთ და დაიგემოვნეთ.

მასალა: ჭინჭარი ნახევარი კილო, ან ერთი-ორი გროვა, (როგორც ბაზარში იყიდება). 200 გრამი ხახვი, თითო კონა კამა, ოხრახუში, ქინძი, 100 გრამი ზეთი.

წვრილად დაჭრილი ხახვი კარგად მოშუშეთ (გაყვითლებამდე) დაასხით ლიტრანახევარი მდუღარე წყალი და მაშინვე ჩაყარეთ წვრილად დაჭრილი ოხრახუში, კამა და კარგად გარეცხილი ჭინჭარი. უკანასკნელ მარილი. 5-6 წუთის შემდეგ გადმოდგით ცეცხლიდან და ჩაამატეთ წვრილად დაჭრილი ქინძი.



რედაქციის მისამართი:
280096, ქ. თბილისი,
მ. კოსტავას ქ. №14.
V სართული
რედაქტორის
ტელეფონი:
99-98-71

ოთხ გვერდზე მეტ ნაბეჭდ მასალას ნუ შემოგვთავაზებთ

ეროვნული ბიბლიოთეკა







1. ლუ მაიერსი (აშშ)
2. რობერ ლასალვი (საფრანგეთი)
3. დობრი მუმჯიევი (ბულგარეთი)
4. რობერ ლასალვი (საფრანგეთი)



ეროვნული ბიბლიოთეკა

ხ 239

- მარინა ქახიანი
- სპექტაკლი – „თავისუფალი სიყვარული“

  ანტონია
- დედა-შვილი

მეხვეოთ ის. მე-6-8 გვ-ზე